ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 18 ივნისი, 2019 №142 (8096) ფასი: 60 თეთრი

## ნათია მეზვრიშვილი ლევან ვასაძეს დაემუქრა

„ვერავინ გაარღვევს პოლიციის კორდონებს, ვერავინ იძალადებს პოლიციელებზე“



გვ.7

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# დააკავებენ თუ არა დავით სერგეენკოს?

## ივანიშვილმა ვასაძე კრიზისის შესაქმნელად გაააქტიურა





გვ.3

## ემზარ კვიციანი: „ხელისუფლებას ძალა უნდა დაანახო, თორემ დათმობაზე არ წავა“



გვ.2

„დეპუტატიც ადამიანია და მასაც აქვს სახალხო რაზმში გაწევრიანების უფლება“

## „ჩაუდგება თუ არა 2020 წლის საარჩევნო სიას სათავეში ბიძინა ივანიშვილი?“



გვ.3



გვ.4

## სალომე სამადაშვილი: „როდესაც სახელმწიფო ვერ იცავს მოქალაქის თვითგამოხატვის უფლებას, ეს საფრთხეს უქმნის ყველას“

## უჩა ნანუაშვილი: „ვასაძის უკან კრემლის პოლიტიკაა, დანაშაული ხელისუფლებამ წაახალისა“



გვ.4

„ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ის, რამდენად ეფექტურად მუშაობს „ოცნება“ კრემლის წინააღმდეგ“

## საპატრიარქო: ხელისუფლების ვალია, მიიღოს ზომები ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად

გვ.4



### სამართალი

გვ.7



## ომარ გამყრელიძის დნმ ყანდაურაში მკვლელობის იარაღებზე არ დაფიქსირდა

ვინ მოკლა 3 მაისს 4 ადამიანი?



## რუსთავის ტბაში 11 წლის ბიჭი დაიხრჩო



## სვანეთში სლოვაკეთის მოქალაქე დაიღუპა

ტურისტი თეთნულდიდან გადავარდა

### ეკონომიკა

გვ.6

## თუ საბანკო და სამშენებლო რეგულაციები არ შერბილდება, შეიძლება უმუშევრობის რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდოს



## ივა ჭყონია: „იმპორტიორ კომპანიებს გეზ-ში დღგ-ს გადახდას მომენტალურად სთხოვენ — მარაზმში ვართ“



## პაბ ჯორჯია: „სახელმწიფო ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების დროს აჭიანურებს“



ISSN 1987-9385

9 771987 938006

**4** ირაკლი კობახიძე: „აგრესია და სიძულვილი მიუღებელია, მით უმეტეს, როდესაც ეს ყველაფერი კეთდება რელიგიური კონტექსტით“

**5** გივი თალაკვაძე: „საქართველოს ეკონომიკას 12%-იანი ზრდის პოტენცია აქვს“

**5** ზურა ხაჩიძის ხელფასი დასახელებულზე 2-ჯერ მეტია

**7** ლევან ჯიბღაშვილს პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება სურს

# ემზარ კვიციანი: „ხელისუფლებას ძალა უნდა დაანახო, თორემ დათმობაზე არ წავა“

## „დეპუტატიც ადამიანია და მასაც აქვს სახალხო რაზმში გაწევრიანების უფლება“

შორენა მარსაგიშვილი

შეუძლია თუ არა დეპუტატს რომელიმე ფორმირებაში გაწევრიანება, რა საერთო აქვს კვიციანის „მონადირეს“ ვასაძის ლაშქართან, რატომ არის ფიცის დადება სასიცოცხლოდ აუცილებელი, რატომ არ აძლევენ ქალებს კონტრაქციაზე მისვლის უფლებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **ემზარ კვიციანი** ესაუბრება.

***– თქვენ მიესალმეთ ლევან ვასაძის იდეას სახალხო რაზმების შექმნის შესახებ, რომელმაც პრაიდი უნდა ჩაშალოს. თქვით, რომ თავადაც აპირებთ ამ რაზმში თუ ლაშქარში გაწევრიანებას. აქვს პარლამენტის წევრს იმის უფლება, რომ რაიმე ფორმირების წევრი გახდეს?***

– მოიცა, პარლამენტის წევრი ადამიანი არ არის? გაიგეთ, რომ დეპუტატიც ადამიანია და მასაც აქვს სახალხო რაზმში გაწევრიანების უფლება. სანამ დეპუტატი გავხდებოდი, დიდი გზა გამოვიარე და ერთ-ერთი ფორმირების წევრი ვიყავი, საუბარი მაქვს „მონადირეზე“, რომელიც კოდორის ხეობას იცავდა.



საქართველოში ჰომოსექსუალების აღლუმის ჩატარებას ათეულობით ათასი ადამიანი ეწინააღმდეგება. ყველა ამბობს, რომ გარყვნილების წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ. ამ ბრძოლას სჭირდებოდა მეთაური და ასეთი კაციც გამოჩნდა. ეს კაცი არის ლევან ვასაძე.

### „ღვთისა და ერის წინაშე უნდა დავიფიცოთ, რომ გარყვნილების ზეიმს არ დავუშვებთ“

ვასაძეს აქამდე არ ვიცნობდი, სულ ერთხელ მაქვს მისთვის ხელი ჩამორთმეული. მეუფე ვახტანგის კურთხევაზე ვიყავით, ერთად მოგვიწია დგომა და მაშინ ჩამოვართვი ხელი. ამის მეტი მასთან არანაირი შეხება არ მქონია. ერთადერთი ისაა, რომ ჩემი ბავშვი მის სკოლაში სწავლობს.

სიმართლე რომ გითხრათ, ადრე ცოტა სხვანაირად ვუყურებდი ამ ადამიანს, რაღაცნაირად პრანჭიას შთაბეჭდილებას ტოვებდა. საკმარისია, ამ ადამიანს ერთხელ მაინც მოუსმინო, რომ მასზე წარმოდგენა შეგეცვლება. ვერის ბაღში გამართულ შეკრებაზე მისი გამოსვლა იყო საოცრად მაგარი და ეროვნული.

***– ეს ეროვნულობა რაში გამოიხატა, ძალადობისკენ რომ მოუწოდებდა ადამიანებს?***

– არა, არა, არა. რაის ძალადობა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ჟურნალისტებმა გააბუქეთ. არ გეწყინოთ, მაგრამ მედიას გიყვართ რაღაცების გამუქება და გაბუქება.

***– ჩვენ რა გავაბუქეთ და რა გავამუქეთ, იმ კაცმა თავად თქვა, კომბლები აიღეთო.***

– კომბლები კი ახსენა, მაგრამ მანდ სულ სხვა მომენტია და არა ის, რომ ვიღაცას თავში უნდა ურტყან.

მოდით, აბა კარგად გავაანალიზოთ, რა თქვა ვასაძემ. მან გაიმეორა ის, რასაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს. საქართველოს მოსახლეობის 99% კატეგორიულად ეწინააღმდეგება პრაიდის ჩატარებას.

ასეთი ამბავი რატომ ატეხეთ, არ მესმის, ლევან ვასაძემ მხოლოდ ის თქვა, რომ კავკასიის ცენტრში, თბილისში გეი-აღლუმი არ უნდა ჩატარდეს. ის და ხალხი მიიჩნევენ, რომ ასეთი რამე ქართველებს არ გვეკადრება. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის სოდომგომორის ცოდვა. ეს კარგი რომ ყოფილიყო, წინაპრებისგან გადმოგვეცემოდა მემკვიდრეობით.

კიდევ ვიმეორებ, რომ ეს არის სოდომგომორის ცოდვა, ცოდვის დაკანონება კი დაუშვებელია. ვასაძემ თქვა, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში და გეი-პარადს აღუდგება წინ. ჩემი მხრიდან გეტყვით, რომ საქართველოში გარყვნილების პროპაგანდას არ დავუშვებთ.

ძალადობას რომ გმობთ ჟურნალისტები, იმას რატომ არ აპროტესტებთ, ქართულ მენტალიტეტზე რომ მიდის ძალადობა. ყველაზე დიდი ძალადობა მენტალიტეტზე შეტევაა.

***– ქართულ მენტალიტეტზე ვინ ძალადობს?***

– გარყვნილები.

***– რაში გამოიხატება ეს ძალადობა?***

– საქართველოს მოსახლეობის 99% ამბობს, რომ არ უნდა გეი-აღლუმი, ეგენი კიდევ გაიძახიან, მაინც ჩავატარებთო. აი, ესაა ძალადობა.

გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და ღიად დააფიქსირეს, რომ საქართველო არის მათი კოლონია.

***– სად და როდის თქვეს ასეთი რამე ელჩებმა?***

– რაც უნდათ, იმას გვაკეთებინებენ და კოლონიალიზმი მეტი კი არაფერია. ჩვეულებრივი ოკუპანტები არიან.

***– ოკუპანტი რუსეთია.***

– კი ბატონო, რუსეთი ოკუპანტია. მან ტერიტორიები წაგვართვა, მაგრამ ვინც სულს გვართმევს, ისინი არ არიან ოკუპანტები? ოკუპანტები არიან და თანაც როგორი. ძალიან კარგია, რომ ამ დროს გამოჩნდა ლევან ვასაძე. ალბათ არც ისაა შემთხვევითი, თეთრ ჩოხაში რომ იყო გამოწყობილი.

ჩვენ ძალიან აღშფოთებულები ვართ, მაგრამ ძალადობას ვემიჯნებით. ამასთან პოლიციას ვთხოვთ, რომ ნუ შეგვაჩერებენ.

***– ძალადობას ვემიჯნებითო, ამბობთ და იქვე პოლიციას მიმართავთ, ნუ შეგვაჩერებთო. ეს როგორ გავიგოთ?***

– ამაში გაუგებარი რა არის. პოლიცია აპირებს ჩვენს გაკავებას იმისთვის, რომ გარყვნილებმა კავკასიის ცენტრში იზეიმონ. პოლიციის ასეთი პოზიცია რომ არა, გარყვნილები თბილისში პრაიდის ჩატარებას ვერ გაბედავდნენ.

***– პოლიცია რა შუაშია? ეგენი კი არ ატარებინებენ აღლუმს. სამართალდამცავები ვალდებული არიან, ყველას უსაფრთხოება და უფლებები დაიცვან.***

– მართალია, პოლიციამ ყველას უფლება უნდა დაიცვას, მაგრამ ჩვენს უფლებებს რატომღაც არ იცავენ. სამაგიეროდ, უმცირესობების დასაცავად არიან მზად. და ეს იცით, რატომ ხდება? იმიტომ, რომ ჩვენი პოლიციელების დიდი ნაწილი უცხოელებს ჰყავთ დატრენინგებული. ამ ტრენინგების შედეგია, რომ ისინი მზად არიან, ხალხის წინააღმდეგ წავიდნენ და გარყვნილება აზეიმონ საქართველოში.

ჩვენ არ გვაქვს სურვილი, პოლიციას დავუპირისპირდეთ, მაგრამ თუ აღლუმი დაიწყო და პოლიციამ ისინი დაიცვა, მაინც შევალთ იმ ტერიტორიაზე და გარყვნილების თარეშს არ დავუშვებთ.

***– გამოდის, რომ პოლიციასთან მაინც მოგიწევთ შეჯახება?***

– თუ არ შეგვიშვებენ, მოგვიწევს.

***– პოლიციელზე ხელის აღმართვა უკანონობაა.***

– ეგრევე პოლიციას დავეჯახებით-თქო, არ მითქვამს. წინააღმდეგობას თუ გაგვიწევენ, ეს მაშინ მოხდება. ისე, რომ იცოდეთ, არც პოლიციელს არა აქვს აქციის მონაწილეზე ხელის აღმართვის უფლება.

***– გააჩნია, რას მოიმოქმედებს აქციის მონაწილე. მშვიდობიანი აქციის დარბევის უფლება არავის აქვს.***

– მერე ჩვენ მშვიდობიანად ვაპირებთ გარყვნილებასთან ბრძოლას. ამის უფლება ჩვენ გვაქვს.

***– მშვიდობიანი მეთოდებით თუ აპირებთ ბრძოლას, ქამრები და კომბლები რად გინდათ?***

– რატომ ამახვილებთ ქამრებსა და კომბლებზე ყურადღებას? ის მითხარით, ვისი დაქირავებულია პოლიცია? ვისი და ხალხის. ასევე ხალხის დაქირავებულია ხელისუფლებაც. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხალხია ხელისუფლების წყარო. ამიტომ პოლიციაც და ხელისუფლებაც ვალდებულია, რომ ხალხის მოთხოვნა შეასრულონ.

ხალხის იგნორირებას ახდენენ, სამაგიეროდ, ბრიტანეთის და აშშ-ის საელჩოების დავალებებს ასრულებენ. გითხრათ, რატომ ემორჩილებიან ასე ბრმად აშშ-ის საელჩოს? იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზეა დამოკიდებული, დარჩება თუ არა ეს თუ ის ძალა ხელისუფლებაში.

სამწუხაროდ, ხალხის აზრი არავის აინტერესებს. ისედაც დიდხანს ვითმინეთ და, როგორც იქნა, გამოვფხიზლდით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 16 ივნისის საღამოს ერი აღდგა. და რაკი აღდგა, აღარ დაიძინებს.

მეგობრულად ვურჩევ ხელისუფლებას და პოლიციას, არავის დაკავებაზე არ წაუცდეთ ხელი. ყველამ გაიგოს, რომ დაკავების შემთხვევაში ბევრად მძლავრ საპროტესტო მუხტს მიიღებენ.

ეს მუხტი ქვეყანას არეულობამდე მიიყვანს, ვასაძეს და მის თანამოაზრეებს კი არეულობა არ უნდათ.

***– არეულობა თუ არ უნდათ, სახალხო რაზმებს რატომ ქმნიან?***

– ძალიან კარგი, რომ ქმნიან. ეს რაზმები წესრიგისთვის იქმნება და არა არეულობისთვის. ამხელა ამბავი რომ ატეხეთ ამ რაზმებზე, შეიარაღებული ფორმირება კი არ იქმნება.

***– თავიდან არც მხედრიონი იყო შეიარაღებული ფორმირება.***

– მხედრიონი თავიდანვე გასამხედროებული ფორმირება იყო. ეგ ამბავი დეტალურად ვიცი და მაგაზე მაინც ნუ დამიწყებ კამათს, თუ როგორ შეიქმნა მხედრიონი.

ახლა მსგავსი არაფერი ხდება. რა იარაღი, ხალხო? ვასაძემ ყველა სასტიკად გააფრთხილა, რომ პატარა დანის ჩადებაც კი არ გაბედონ ჯიბეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან.

ჩვენ გვექნება წმინდა და მოზომილი პროტესტი. არც თოფი და არც დანა ჩვენს მხარეს არ იქნება.

***– თოფი და დანა რად გინდათ, როცა კომბლებით აპირებთ მისვლას.***

– რას გადაეკიდე ამ კომბლებს? კომბალი იარაღი არ არის და არც ქამარი. ჩვენ მშვიდობიანად გვინდა პროტესტის გამოხატვა, მაგრამ თუ გვაიძულებენ, პატარა ძალასაც გამოვიყენებთ.

***– პატარა ძალა მერე დიდი ძალის გამოყენებაში გადადის.***

– ეგ ჩვენგან გამორიცხულია. არც ასეთ მკაცრ განცხადებებს გავაკეთებდით, ხელისუფლებას რომ არ ვეიძულებინეთ.

მინდა კარგად გამიგოთ ყველამ, ამ ხელისუფლებაზე მშვიდობიანი პროტესტი არ ჭრის. მარტო პატრიოტთა ალიანსმა გამართა რამდენჯერმე მრავალათასიანი აქცია. ჩვენი მოთხოვნები წამოვაყენეთ და დავიშალეთ, ხელისუფლებამ ეს ისე გაატარა, ვითომ არც გამოვსულვართ ქუჩაში.

აქედან შეგვიძლია დასკვნა გავაკეთოთ, ამ ხელისუფლებაზე ხალხის რაოდენობა არ ჭრის. ხელისუფლებას ძალა თუ არ დაანახე, ისე არაფერს არ დაგითმობს. ჩვენ ძალადობას ვემიჯნებით, მაგრამ იძულებულები ვართ, რომ ყველას ვაჩვენოთ ჩვენი ძალა.

ეს ევროპა ხომ ყველას ძალიან მოგწონთ, იქ როგორი აქციები იმართება? ყველაფერს წვავენ და ბუგავენ.

***– 1991-1992 წლებში ჩვენც გადავბუგეთ ყველაფერი და ეს ევროპულობის გამოვლინება იყო?***

– ეგ სხვა ამბავი იყო, ეგ ერის ტრაგედიაა, მე სხვანაირ გადაბუგვაზე მაქვს საუბარი. აქციის მონაწილეების ქმედებებზე, რომლებიც მანქანებს წვავენ, მაღაზიის ვიტრინებს ამსხვრევენ.

ჩვენ ასეთ რამეს არ ვაპირებთ, მაგრამ გარყვნილებას არ მივცემთ იმის უფლებას, რომ ჩვენს ინტელექტზე იძალადოს.

ჩვენ მორწმუნე ადამიანები ვართ, ამიტომ მივალთ მშვიდობიანად და თუ მშვიდობა არ გაჭრის, მაშინ სხვანაირად დავიცავთ ერის ღირსებას. ხელის შემობრუნება არ გაგვიჭირდება.

***– მორწმუნე ადამიანები ვართო და თქვენ ყველაზე კარგად უნდა იცოდეთ, რომ ძალადობას ძალადობით არ უნდა უპასუხოთ.***

– ეტყობა, იმაზე მეკითხები, ერთ ლოყაში რომ გაგარტყან, მეორე უნდა მიუშვირო. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა ამბავია. არსად არ წერია, ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, უკანალი მიუშვირეო. ჩვენ არაფრის მიშვერას არ ვაპირებთ და არც პირველები გავარტყამთ. უბრალოდ დავიჭერთ. ქამრებით შევუკრავთ ხელებს და გადავიყვანთ სხვა მხარეს. თბილისი არის წმინდა ქალაქი და აქ გეი-პარადი არ ჩატარდება.

ფეისბუქზე დაიწერა, რომ ასე თუ უნდათ ამერიკელებს, რომ პრაიდი ჩატარდეს, თავისი საელჩოს ტერიტორია დაუთმონ. დიდი ადგილია და კარგი აღლუმი გამოუვათ.

***– ამას არ გააპროტესტებთ?***

– ამას არა.

***– ეს საელჩო ხომ თბილისშია და გამოდის, რომ მაინც საქართველოს დედაქალაქში ჩატარდება პრაიდი.***

– არა, ეგრე არ იქნება. აშშ-ის საელჩოს ტერიტორია არის ამერიკის ტერიტორია. ეს ყველგან და ყველა საელჩოზე ვრცელდება.

ასე რომ, წავიდნენ და იქ ჩაატარონ, ჩვენს თბილისს თავი დაანებონ. ხელისუფლება ნუ გვაიძულებს, რომ თავი დავიცვათ. თავის დროზე სწორედ ამიტომ შევქმენით სახალხო რაზმი „მონადირე“.

***– „მონადირე“ შექმენით იმიტომ, რომ კოდორის ხეობა დაგეცვათ ოკუპანტებისგან.***

– ასე იყო. ხელისუფლებამ მიგვატოვა და იძულებული გავხდით, თავად დაგვეცვა თავი. ჩვენ მაშინ ფიცი დავდეთ. მიმაჩნია, რომ ახლაც ფიცი უნდა დაიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.

***– ვის წინაშე უნდა დადოთ ფიცი?***

– ღვთისა და ერის წინაშე უნდა დავიფიცოთ, რომ ღალატი არ იქნება და აქ გარყვნილების ზეიმს არ ჩავატარებინებთ.

თავის დროზე დავიფიცეთ და მართლაც რომ არ შემოვუშვით მტერი. კაცები ხომ ვიბრძოდით და ვიბრძოდით და ქალებიც გვერდით გვედგნენ.

***– ქალები ახსენეთ და ვასაძემ ქალებს თავის აქციაზე მისვლა რომ აუკრძალა, ეს რა წესია? თქვენი და, ნორა კვიციანი, ქალია, მაგრამ ბევრმა კაცმა დაიკვეხოს, როგორც ეგ მოიქცა მაშინ, როცა კოდორში საომარი მოქმედებები მიდიოდა. ის ვერც ციხემ გატეხა.***

– ვასაძეს ქალებისთვის მისვლა არ აუკრძალია. იმ აქციაზე ქალებიც იყვნენ. მათ შორის ჩემი დებიც. ნორა არ ყოფილა, წალკაში იყო, თორემ აუცილებლად მოვიდოდა. ქალებს თუ სურვილი ექნებათ, აქციაში მონაწილეობის უფლებას არავინ წაართმევს, მაგრამ ჯობია, მაინც კაცები გავიდეთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დააკავებენ თუ არა დავით სერგეენკოს?

## ივანიშვილმა ვასაძე კრიზისის შესაქმნელად გაააქტიურა

შორენა მარსაგიშვილი





ხელისუფლება ხალხს პურს ვერ აძლევს, სამაგიეროდ, სანახაობა არ გვაკლია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წინ უფრო დიდი გართობა გველოდება. ამჯერად ეს გართობა მხოლოდ სამთავრობო ცვლილებებით არ შემოიფარგლება და შესაძლოა პოლიტიკურ ავანსცენაზე ახალი პოლიტიკური ძალა შემოგრიალდეს.

ამ ახალი ძალის პოლიტიკურ ავანსცენაზე შემოსვლა რამდენჯერმე გადაიდო, მაგრამ ახლა, ეტყობა, ამის დრო მოვიდა და ლევან ვასაძე შეეცდება იმის მიღებას, რისთვისაც ამდენი ხანი იბრძვის.

„ახალი თაობა" ჯერ კიდევ მარტის თვეში წერდა, რომ რაინდის ტიტულის მატარებელს ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლაზე კურთხევა მისცა. მათ შორის მოლაპარაკება მარტის მეორე ნახევარში შედგა.

მაშინ გადაწყვიტეს, რომ ვასაძე პოლიტიკაში შემოდგომისთვის ნელ-ნელა შემოვიდოდა. იმაზეც კი იყო საუბარი, რომ მისგან შეიქმნებოდა მესამე ძალა. მერე ოლიგარქს და რაინდს შორის ურთიერთობა დაიძაბა და მესამე ძალის ხელოვნურად დაბადება ჩაშლამდე მივიდა.

ივანიშვილმა გადაწყვიტა, მცირე პარტიებზე გაეკეთებინა აქცენტი, რომელთაც ასევე თავად შექმნიდა. „ოცნებიდან" წასულები რომ მის დაკრულზე იცეკვებენ, ამაში ეჭვი ისედაც არავის შეჰპარვია.

ოლიგარქის დაკრულზე ისინი მომავალშიც იცეკვებენ, მაგრამ მესამე ძალობისთვის კვლავ ვასაძეზე შეაჩერეს არჩევანი. ამაში ნინო ბურჯანაძეს და ირაკლი ოქრუაშვილს მიუძღვით ლომის წილი.

ამ უკანასკნელმა დააფუძნა პარტია და გაბრაზებული ხალხი მიიპატიჟა. ხელისუფლებაზე გაბრაზებული ხალხი საქართველოში მრავლად არის და არაა გამორიცხული, მათი ნაწილი თავდაცვის ექსმინისტრის მოძრაობას შეუერთდეს, რომელსაც სერიოზული ქარიზმა აქვს და ხალხის აყოლიება შეუძლია.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, „ოცნებაში" ამბობენ, რომ მის პარტიას 15%-იანი რეიტინგი აქვს. აქედან გამომდინარე საჭიროა მისი განეიტრალება. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე რუსეთთან ასოცირდება და ამ ძალის გასანეიტრალებლად შეიძლება ვასაძე გამოიყენონ.

ხელისუფლებაში აქვთ გათვლა, რომ ვასაძე ბურჯანაძეს პრორუსულ ელექტორატს წაართმევს, ოქრუაშვილს კი იმ ხალხს, რომლებიც ამდენი ხანია, ეროვნული ძალის გამოჩენას ელოდებიან.

არც ის ყოფილა შემთხვევითი, ვასაძისგან ეროვნული მოღვაწის ხატი რომ შექმნეს. შემოდგომისთვის უფრო კარგად შეიფუთებოდა ეს პროექტი, მაგრამ დრო აღარ ითმენდა და რაინდიც გამოვიდა ასპარეზზე.

ამ პროექტის ავტორებს, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო თბილისი პრაიდმა, რომლის ჩასაშლელად რაინდმა კომბალი აიღო და თეთრი ჩოხა შემოიცვა.

ვიღაცა შეიძლება მის ფიგურას არასერიოზულად აღიქვამდეს, მაგრამ თავისი აგრესიული განცხადებებით ამ დღეებში მას ბევრი მომხრე გამოუჩნდა. ამ დღეებში თუ პრაიდისტებთან შეტაკებებში მოუწია მონაწილეობა, მისი რეიტინგი ალბათ კიდევ უფრო აიწევს.

რამდენად შეინარჩუნებს რაინდი ამ რეიტინგს, ჯერ უცნობია – ივანიშვილი ხშირად იცვლის ხოლმე პოზიციებს. მით უმეტეს, როცა ამერიკიდან შენიშვნებს აძლევენ.

ახლაც სერიოზული შენიშვნა მიიღო ვაშინგტონიდან. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ღიად თქვა, რომ ანაკლიის პორტი საქართველოში უნდა აშენდეს. „ოცნების" კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ ვასაძის ასეთი მოულოდნელი გააფთრებული გააქტიურება ანაკლიის ამბის გადაფარვასაც ისახავდეს მიზნად.

მართალია, ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ივანიშვილს ქონების ნაწილი იქ აქვს დაბინავებული, მაგრამ ოლიგარქს მოსკოვისთვისაც უწევს ანგარიშის გაწევა, ლევან ვასაძე კი რუსული პროექტია.

სახელისუფლებო კულუარებში ასევე აქტიურად განიხილება სამთავრობო ცვლილებებიც. იმდენად მძიმედ და სერიოზულად არის საქმე, რომ ივანიშვილი მზადაა, დავით სერგეენკოსაც კი შეელიოს, რომელიც, წულუკიანთან ერთად, „ოცნების" მოსვლის დღიდან მინისტრის სავარძელზე ზის.

ხმები მისი შესაძლო გადადგომის შესახებ სერგეენკომ არც უარყო და არც დაადასტურა, „ოცნების" კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ მისი სკამის შერყევა იმ სკანდალს უკავშირდებოდეს, რომელიც ამერიკელებმა გამოიძიეს.

ცე ჰეპატიტისთვის განკუთვნილი წამალი, რომლის ღირებულებაც ათეულობით ათასი დოლარი ღირს, დასავლეთმა საქართველოს აჩუქა. ცოტა ხნის წინ კი ამერიკელებმა ეს ვაქცინა რუსეთში, შავ ბაზარზე აღმოაჩინეს.

რუსეთში ის აფხაზეთიდან და ცხინვალიდან მოხვდა. ჩვენი ხელისუფლება ხშირად აპელირებდა, რომ ამ პროგრამაში ოსები და აფხაზებიც ჰყავდა ჩართული. ამას არც დასავლეთი ეწინააღმდეგებოდა.

ქართველები, ოსები და აფხაზები მალე მიხვდნენ, რომ ამ წამლით დიდ ფულს იშოვიდნენ და საქმესაც შეუდგნენ. აფხაზებისა და ოსებისთვის განკუთვნილი წამლები რუსეთში აღმოჩნდა.

რამდენიმე კვირის წინ ხელისუფლებაში აქტიურად საუბრობდნენ, რომ ამ სკანდალს დავით სერგეენკო და შერიგების საქმეთა მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი გადაჰყვებოდნენ. ხელისუფლებაში არც მათ დაკავებას გამორიცხავდნენ.

სერგეენკო აშკარად ნიჩაბზე ზის და მალე მის ბედს სხვა მინისტრებიც გაიზიარებენ. მთავრობის მეთაურმა გუშინ, 17 ივნისს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მთავრობაში ცვლილებები იქნება.

„ოცნების" კულუარებში ამბობენ, რომ ის ცვლილებები და ვასაძის ეროვნული გამოსვლები ხელოვნურ კრიზისს შექმნის, რასაც ვადამდელი არჩევნები მოჰყვება.

ასეთ შემთხვევაში ანაკლიის ამბავიც გადაიფარება და ივანიშვილიც მესამე ვადით შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას.

ამ დროისთვის არჩევნებისთვის, „ოცნების" გარდა, მზად არავინ არის.

## რომან გოცირიძე: „მიზეზები უნდა ვეძებოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიაში"

პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ, რომან გოცირიძემ ჯანდაცვის მინისტრის შესაძლო გადაყენებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

გოცირიძე ფიქრობს, რომ სერგეენკო შიდა ინტრიგების გამო გაათავისუფლეს.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმები წარუმატებელი იყო, ის არ ყოფილა კორუმპირებული თანამდებობის პირი.

– მიზეზები უნდა ვეძებოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიაში, ამიტომ, მე ფსიქოლოგიურ კვლევებს ვერ დავიწყებ. ძალიან საყვარელი მინისტრებია, როგორც ჩანს, უყვარს ასეთი გამონათქვამი და ერთ-ერთი საყვარელი გაწირა, ამბობენ, შიდა ინტრიგების გამო. ის არ იყო კორუმპირებული და მან ბევრი კორუმპირებული თავისი მოადგილე თუ თანამშრომელი გაათავისუფლა, მიუხედავად ამისა, სერგეენკოს მიერ ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები იყო ცუდი, ვინაიდან მრავალი მილიარდი დაიხარჯა ამ წლების განმავლობაში, მაგრამ მას არ ჰქონდა სათანადო უკუგება, ეს უშუალოდ მთავრობისა და ბიძინა ივანიშვილის მიდგომების ბრალი იყო, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ნიუპოსტი

# „ჩაუდგება თუ არა 2020 წლის საარჩევნო სიას სათავეში ბიძინა ივანიშვილი?"

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების" წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მთავრობაში შესაძლო საკადრო ცვლილებებზე და 2020 წლის საარჩევნო სიის დაკომპლექტებაზე საუბრობს.

***– ბატონო ნუკრი, რას უკავშირდება ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თანამდებობიდან შესაძლო გადაყენება? ბევრი ამბობს, რომ მან გუნდის შიგნით არსებულ ჯგუფებს შორის ფარულ დაპირისპირებას ვერ გაუძლო და ამას შეეწირა.***

– არა, ამას გამოვრიცხავ. არავითარი ჯგუფებს შორის ფარული დაპირისპირება არ არსებობს. სექტემბერ-ოქტომბერში ეს პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდება და მე ამას მხოლოდ განახლებას ვუკავშირებ. დავით სერგეენკოს თანამდებობიდან შესაძლო წასვლას ვუკავშირებ მხოლოდ იმას, რომ ახალი სისხლია საჭირო. ახალი ენერგია, ახალი ძალებია საჭირო. მე გუნდის განახლებაზე ბევრჯერ მისაუბრია თქვენთანაც და საერთოდ, ამაზე „ქართული ოცნების" შეხვედრებზეც ვსაუბრობ ხოლმე.

რაც შეეხება დავით სერგეენკოს, ის იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი სწორედ ჯანდაცვის პროგრამის, რომელმაც ნამდვილად გადაარჩინა ბევრი ადამიანის სიცოცხლე. ის 7-8 წელი ემსახურებოდა ამ საქმეს. მის მიმართ საზოგადოებას ნამდვილად ჰქონდა და ახლაც აქვს კეთილგანწყობა.

***– სწორედ ეს იწვევს კითხვებს.***

– თუ მოხდება ეს ცვლილება, მაშინ ეს იქნება სიახლისთვის გადადგმული ნაბიჯი. ახალი შემოტანისთვის გაკეთებული სვლა. მე კატეგორიულად არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი წარმატებული პიროვნება გუნდს განერიდება და ის პოლიტიკური არეალიდან გაქრება.

***– ფიქრობთ, საპარლამენტო სიაში გადაინაცვლებს?***

– დიახ, არ გამოვრიცხავ. სერგეენკო აუცილებლად შეიტანს დადებით წვლილს „ქართული ოცნების" შემდგომ საქმიანობაში, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

***– ასეთი მოსაზრებაც ვრცელდება, რომ დავით სერგეენკო სწორედ 2020 წლის საარჩევნო სიაში შეიძლება ვიხილოთ, რადგან მას ყოველთვის მაღალი მოწონების რეიტინგი აქვს.***

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. თუმცა, მე აქვე ვადასტურებ, რომ ეს არის მხოლოდ ჩემი მოსაზრება და მე არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს. ცხადია, ჯერ საპარლამენტო სია ფორმირებული არ არის და ამაზე ჯერ საუბარიც არ ყოფილა, მაგრამ ბუნებრივია, რომ ასეთი გამოცდილებისა და მით უფრო, რეიტინგის ადამიანი დასაკარგი არ არის. ასეთი ხალხი, პირიქით, მაქსიმალურად არის გუნდის მიერ გამოსაყენებელი.



***– წინა კვირას ასევე გავრცელდა ინფორმაცია პრემიერ ბახტაძის გადადგომის შესახებ. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ მისი გადაყენება რამდენიმე თვით გადაიწევს ამერიკაში ვიზიტიდან გამომდინარე, რომ ეს არ იყოს ამერიკელების მიერ უარყოფითად აღქმული. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ამ ეტაპზე ეს საკითხი არ დამდგარა დღის წესრიგში, მაგრამ მუდმივად არავინ არ არის, ამას მოწმობს თუნდაც ჩვენი 7-8-წლიანი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი, როდესაც პრემიერები იცვლებოდნენ და ეს როტაცია იყო. თუმცა, ამ ეტაპზე ამას გამოვრიცხავ სწორედ იქიდან გამომდინარე, რაც თქვით, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია.

***– საუბარია, რომ ვიცე-პრემიერი მაია ცქიტიშვილი ჩაანაცვლებს.***

– არა, ვერაფერს გეტყვით, მე ეს ინფორმაცია არ მაქვს. ცქიტიშვილი იქნება თუ ვინ იქნება, არ ვიცი, არავითარი სიმპტომი ამ ეტაპზე არ ჩანს, რომ ბახტაძე მიდის, მაგრამ მომავალში არაფერი არ არის გამორიცხული.

***– პრესაში ვრცელდება 2020 წლის საპარლამენტო სიასთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია. თქვენ რა შეგიძლიათ ამ დროისთვის გვითხრათ? თალაკვაძემ ახალი სახეები უკვე დააანონსა.***

– მხოლოდ ზოგადად შემიძლია გითხრათ: დიახ, სიახლე საჭიროა, მაგრამ ახალი სახეები უნდა სჯობდნენ, მაგრამ არა მხოლოდ სიახლით! ცოდნა, მაღალი პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ერთგულება. ამიტომ, ვისაც ჩაანაცვლებენ, იმას უნდა სჯობდეს. განახლება აუცილებელია. ეს დროის მოთხოვნაა. რაც შეეხება კონკრეტულ პერსონებს, დღეს ვერაფერს გეტყვით, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა.

***– სიას ვინ დააკომპლექტებს? თითქოს ამაზე ძალიან დიდი დავაა გუნდში.***

– პარტიის თავმჯდომარე იმიტომ არის პარტიის თავმჯდომარე, რომ მას ექნება ამ საქმეში დიდი წვლილი. ბუნებრივია, ივანიშვილის პოზიციები იქნება უმნიშვნელოვანესი, მაგრამ გუნდისგანაც არ იქნება დამალული.

***– იყო ამაზე საუბარი გუნდში?***

– ჯერ ეს პროცესი ასეთ კონკრეტიკაში არ გადასულა. რამდენიმე თვეში დღის წესრიგში დადგება. სექტემბრიდან დაიწყება მზადება, გეგმის შემუშავება, შემდეგ გაცნობა. ასევე მოსამზადებელი იქნება კონფერენციები, მოსამზადებელი იქნება ყრილობა, ერთგვარი დათვალიერება უნდა მოხდეს პარტიული ორგანიზაციების. კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე საუბარი არ ყოფილა და ეს ჯერ ნაადრევიც არის.

***– ჩემი ინფორმაციით, საარჩევნო სიას სათავეში თავად ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგება. ამით სიის პირველი ნომრის პრობლემაც მოიხსნება და ეს იქნება ერთგვარი გზავნილიც „ოცნების" მხარდამჭერებისთვისაც. რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ალბათ, ეს ვარიანტიც იქნება განხილული. თუმცა, ამ ეტაპზე ასე კონკრეტულად საუბარი არ ყოფილა. თუმცა, რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ეს ვარიანტიც იყოს განხილული.

# უჩა ნანუაშვილი: „ვასაძის უკან კრემლის პოლიტიკაა, დანაშაული ხელისუფლებამ წაახალისა“

## „ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ის, რამდენად ეფექტურად მუშაობს „ოცნება“ კრემლის წინააღმდეგ“

იაგო ნაცვლიშვილი



16 ივნისს ვერის პარკში შეკრებილებმა, რომლებიც თბილისში ლგბტქი პრაიდს აპროტესტებენ, ბიზნესმენ ლევან ვასაძისგან რამდენიმე გზავნილი მოისმინეს. იყო არაკონსტიტუციური, ძალადობრივი და რევოლუციური პათოსის მოწოდებები.

ვასაძემ იმ რაზმეულის ფორმირება დაიწყო, რომელმაც ლგბტქი თემის წარმომადგენლები უნდა აღმოაჩინონ, ქამრებით გაკოჭონ და იმ ადგილებიდან გაუშვან, სადაც ისინი შეკრებას გადაწყვეტენ. ვასაძე ქამრებით გაკოჭვით დიპლომატიურ კორპუსსაც დაემუქრა, ხოლო სამართალდამცავებს კი „კომბლების რევოლუციით“. მომხდარზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

ვისი პასუხისმგებლობაა, როცა ასეთი არაკონსტიტუციური და ძალადობის პათოსის შემცველი განცხადებები ისმის და ხომ არ სჭირდება ვასაძის ამ ფორმით პოლიტიკაში შემოსვლა „ქართულ ოცნებას“? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** საუბრობს:

***– ვნახეთ არაკონსტიტუციური მოწოდებები ვასაძის მხრიდან, იყო მოწოდება კომბლების რევოლუცია, პოლიციაზე თავდასხმის მოწოდება, განსხვავებული სექსუალური იდენტობის ადამიანების დევნა და ა. შ. რას ნიშნავს ეს?***

– ყველაფერი გამოწვეულია იმით, რაც ბოლო წლებში ხდება ქვეყანაში. როცა ძალიან ბევრ ინციდენტთან დაკავშირებით ქვეყანაში არის დაუსჯელობა. წლების განმავლობაში მომხდარ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება არ ჰქონია სამართალდამცავებს. ყოფილა ძალიან ბევრი შემთხვევა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა, მუქარები განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მიმართ და ხშირ შემთხვევაში სასამართლო 100 ლარიანი ჯარიმით შემოიფარგლებოდა ხოლმე. ასეთი ძალიან ბევრი ფაქტი იყო არჩევნებამდეც, არჩევნების დროსაც, მანამდეც და არა მხოლოდ არჩევნებთან ან 17 მაისის თემასთან დაკავშირებით, არამედ ძალიან ბევრი ფაქტი დაგროვდა.

ის, რომ ძალადობრივ მოწოდებებზე რეაგირება არ ყოფილა, სამწუხაროდ, ამან უფრო და უფრო საშიში მასშტაბები მიიღო. დაუსჯელობის ატმოსფერო არსებობდა და ეს სწორედ ამას უწყობდა ხელს, რაც მოხდა, დაანონსდა რაღაც ფორმირებების შექმნაც კი, რომელიც ყოველგვარ სამართლებრივ სივრცეს სცილდება. ეს არის ის, რომ ამ გამონათქვამებში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

ძალიან დროულია, რომ ამ მიმართულებით გამოძიება დაწყებულია და იმედია, რომ ამ ყველაფერს გაეცემა ადეკვატური პასუხი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. საქართველოში არის კონსტიტუცია და მოქმედებს კანონები. ვერც ერთი სივრცე ვერ შეიქმნება, სადაც ასეთი კანონები მოქმედებს.

***– გაქვთ მოლოდინი, რომ აღსრულება იქნება ეფექტიანი თუ უბრალოდ, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში მძაფრი პროტესტი იყო და ამის გამო დაიწყეს გამოძიება?***

– მე ამიტომ ვთქვი, რომ სამწუხაროდ წინა წლებში რეაგირება ადეკვატური არ ყოფილა. ყველა მყავს მხედველობაში. ეს ევალებოდა სამართალდამცავ უწყებებს და ასევე სასამართლო სისტემა არაეფექტური იყო, როცა 100 ლარიანი ჯარიმით ათავისუფლებენ ადამიანს, მაშინ, როცა სახეზეა დანაშაულის სერიოზული ნიშნები. რეალურად ეს ჯარიმა არის ფარატინა ქაღალდი და არაფერი შედეგი მას არ აქვს. არ უნდა ხდებოდეს მისი გამოყენება.

გვახსოვს ძალადობის და თავდასხმის საკმაოდ მძიმე ფორმები, მათ შორის, პოლიტიკურ ოპონენტებზე და არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობების ჯგუფებზე. ძალიან ბევრი შემთხვევა იყო, როცა ასეთ ფაქტებსა და ინციდენტებს შეფასება არ ეძლევა და ხელისუფლება კმაყოფილდება მინიმალური სასჯელით, რომ ფორმალურად მაინც ჩაიბაროს ეს საკითხი და ვინმე იყოს დასჯილი... როცა ასეთი რამე არ ხდება, რა თქმა უნდა, ნიადაგი ყოველთვის მზად არის ახალი დანაშაულისთვის. ფაქტობრივად, წინა დღეებში რაც ხდებოდა, ეს ყველაფერი არის წახალისება მსხვილმასშტაბიანი დანაშაულებისთვის და ჩვენ სწორედ აქამდე მოვედით.

ვნახოთ, იმედი მინდა გამოვთქვა, რომ ხელისუფლება ამჯერად მაინც იქნება ადეკვატური და რეაგირებას ამჯერად მაინც მოახდენს, რომელიც უკვე გასცდა ერთი ჯგუფის პრობლემას და აქ უკვე სახელმწიფოებრიობას ემუქრება საფრთხე და ქვეყნის განვითარებას. აქ არ არის საუბარი ერთეულ შემთხვევებზე. ამ ყველაფერს სჭირდება გაანალიზება ხელისუფლების მხრიდან, საით მიდის სახელმწიფო, ამის მერე უკეთესად გამოჩნდება.

***– ის ფაქტი რას ნიშნავს თქვენთვის, როცა ერთ კონკრეტულ ჯგუფს არ ეძლევა გამოხატვის თავისუფლება და არ აქვთ საშუალება, რომ თავისი სიტყვა გააგონონ მთელ ქვეყანას?***

– სახელმწიფოში ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება, შესაბამისად, კონსტიტუცია არის ყველასთვის საერთო. დაუშვებელია რომელიმე ჯგუფის მარგინალიზაცია რაიმე ფორმით. თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში უფლებების შეზღუდვა მიუღებელია. ჩვენ თუ გვინდა, რომ თანამედროვე სამყაროს წევრები გავხდეთ და წინ წავიდეთ, მაშინ უფლებების შეზღუდვა არ უნდა დავუშვათ, მაგრამ ჩვენ თუ გვინდა წავიდეთ იქ, სადაც არის რუსეთი, ირანი თუ სხვა ავტორიტარული ქვეყნები, მაშინ, კი ბატონო. ეს უკვე არჩევანის საკითხია, საით წავა სახელმწიფო.

***– ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ ამ ადამიანებისთვის გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყონ?***

– რა თქმა უნდა. ხელისუფლებამ უნდა შექმნას გარანტიები, რომ ნებისმიერ ჯგუფს, ნებისმიერ ადამიანს კანონის ფარგლებში მიეცეს გამოხატვის შესაძლებლობა. ხელისუფლება იმიტომ არის ხელისუფლება, რომ მას ასეთი ვალდებულებები გააჩნია და მან უნდა შეასრულოს ის, რაც წერია კანონებსა და კონსტიტუციაში. კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა არის თანასწორი.

***– თავიდან როცა დაიწყო პროცესი და ლგბტქი თემს ხელისუფლებამ ვერ მისცა უსაფრთხოების გარანტიები, ამან ხომ არ წაახალისა ეს ჯგუფი, რომ ასეთი რადიკალური და არაკონსტიტუციური მეთოდებით დაუპირისპირდეს მათ?***

– რა თქმა უნდა, ეს იყო გარკვეულწილად თამაში ხელისუფლების მხრიდან, რაც ხშირად არის ხოლმე გამოყენებული, მათ შორის, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან და რეალურად წახალისებაც ხდება. ეს წინა წლებშიც ყოფილა, სხვათა შორის, ეს პირველად არ ხდება, წინა წლებშიც ყოფილა მსგავსი ღონისძიება, ასე რომ, რაღაც ახალი არ ხდება. უბრალოდ, საჭირო იყო დამატებითი ღონისძიებები სამართალდამცავების მხრიდან. მსგავსი რამის გაკეთება რომ მომხდარიყო, წელსაც შეიძლებოდა, მაგრამ რატომ არ მოხდა ეს, ჩემთვის გაუგებარია. დამატებითი გარანტიების შექმნაზე ხელისუფლებამ უარი თქვა, რასაც რადიკალური ჯგუფები გამოიყენებს.

***– ახსენეთ ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლა და არაეფექტიანი განაჩენი, როცა 100 ლარიანი ჯარიმები ახსენეთ. მაშინ ეჭვები გაჩნდა, რომ მათ ხელისუფლება ებრძვის სხვა ადამიანების ხელით. ახლაც ხომ არ გიჩნდებათ ეჭვი, რომ შესაძლოა ხელისუფლებას ეს ვითარება აწყობდეს?***

– მე ვთქვი და გავიმეორებ, რომ შექმნილ ვითარებაში დამნაშავე არის ხელისუფლება. ხელისუფლებას ეფექტური ღონისძიებები რომ გაეტარებინა, აქამდე არ მივიდოდით. ის, რაც ხდება, ეს რეალურად დანაშაულის წახალისებაა. ვის აწყობს და ვინ იყენებს, ესეც გამოიკვეთება. ათეულობით შემთხვევასთანაც კი გვაქვს საქმე, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა სათავისოდ გამოეყენებინა რადიკალური ჯგუფები. ეს პრინციპში დამკვიდრებული პრაქტიკაა. ის, რომ მმართველ გუნდს ეს ეჭვები გაეფანტა, ამ მიმართულებით ჩვენ ვერანაირი ნაბიჯები ვერ ვნახეთ.

ის, რომ ხელისუფლებას არ აწყობს ასეთი ატმოსფეროს შექმნა, მათი გაპარპაშება და მათი გამოყენება საკუთარ ინსტრუმენტად და საკუთარი მიზნების მისაღწევად, ასეთი ეჭვები მან ვერ გაფანტა. ჩვენ ვერ დაგვანახა, რომ ხელისუფლება ამას რაიმე ფორმით ებრძოდა. პირიქით უფრო მოხდა.

***– არაერთხელ ყოფილა ინფორმაცია, რომ ვასაძე აპირებდა პოლიტიკაში შემოსვლას. ხომ არ გგონიათ, რომ ასეთი რადიკალური ფორმით შემოვა და ხომ არ შედის ეს ხელისუფლების ინტერესებშიც, ვინაიდან, რომ „მიშა მოდის“ ტაქტიკა გაცვდა და საჭიროა ახალი სტრატეგია, რომ თუ არ აირჩევთ „ოცნებას“, მაშინ მოვა ვასაძე. ამ ვერსიას როგორ უყურებთ?***

– იცით რა არის? ასეთი პოლიტიკური ფიგურები პოლიტიკაში ერთგვარ საფრთხობელად არიან გამოყენებული, რომ თუ არ იქნება კონკრეტული პოლიტიკური ძალა არჩეული, უფრო რადიკალური ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში. რა თქმა უნდა, ამ ვერსიას აქვს არსებობის საფუძველი. შეგვიძლია ეს ვარაუდიც განვიხილოთ, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენ, ყველამ დავინახეთ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. ამ ყველაფრის უკან დგას რუსეთი და სწორედაც რომ კრემლის პოლიტიკაა.

კითხვა დგას იმ მიმართულებით, ვინ დაეხმარება კრემლს თავისი პოლიტიკის განხორციელებაში. ვფიქრობ, რომ ქართულ საზოგადოებაში ამაზე უნდა წარიმართოს დისკუსია – იქნება ეს ვასაძე, ხელისუფლება თუ სხვა ძალა. ვინ რას გამოიყენებს, ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდება. ცალსახაა, რომ ამ ყველაფრის უკან რუსეთია. რამდენად ეფექტურად მუშაობს ხელისუფლება მის წინააღმდეგ, მე ყველაზე სერიოზულ გამოწვევას აქ ვხედავ.

## ირაკლი კობახიძე: „აგრესია და სიძულვილი მიუღებელია, მით უმეტეს, როდესაც ეს ყველაფერი კეთდება რელიგიური კონტექსტით“

აგრესია და სიძულვილი მიუღებელია, მით უმეტეს, როდესაც ეს ყველაფერი კეთდება რელიგიური კონტექსტით და ასეთი სარჩულით, – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ვერის ბაღში განვითარებულ მოვლენებს.

მისი თქმით, ხელისუფლების როლი და ფუნქციაა კანონის უზრუნველყოფა და ეს ფუნქცია შესრულებული იქნება.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, არ მოხდეს ვითარების გამძაფრება.



– სახელმწიფო გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენს საზოგადოებაში სიმშვიდე და არ იქნება დაშვებული კანონის დარღვევა არავითარი ფორმით. აგრესია, სიძულვილი არის ის, რის წინააღმდეგაც უნდა მოქმედებდეს ხელისუფლება, კანონით განსაზღვრული ფორმებით განაცხადა კობახიძემ.

მისივე შეფასებით, ვერის ბაღში განვითარებული მოვლენებისას, მან აგრესიისა და სიძულვილის მკაფიო ნიშნები დაინახა.

– რაც შეეხება სამართლებრივ კვალიფიკაციას, ეს არის სამართალდამცავი ორგანოების საქმე. დაველოდოთ მათ შეფასებას და ამის შემდეგ შეგვიძლია, გავაკეთოთ დამატებითი კომენტარები, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

## სალომე სამადაშვილი: „როდესაც სახელმწიფო ვერ იცავს მოქალაქის თვითგამოხატვის უფლებას, ეს საფრთხეს უქმნის ყველას“

– როდესაც სახელმწიფო ვერ იცავს მოქალაქის თვითგამოხატვის უფლებას, ეს საფრთხეს უქმნის ყველა მოქალაქეს, იმიტომ, რომ ხვალ შეიძლება ვიღაცამ ჩათვალოს, რომ უფლება არ გაქვთ, ისაუბროთ მაგალითად, სიტყვის თავისუფლებაზე, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სალომე სამადაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, როდესაც გამოეხმაურა ომბუდმენის განცხადებას, რომ შსს-მ ლგბტ თემს „თბილისის პრაიდის“ ჩატარებაზე უარი უთხრა.




სალომე სამადაშვილის თქმით, საზოგადოება არაერთხელ ყოფილა იმის მოწმე, რომ შსს-ს და ზოგადად, სახელმწიფოს არასწორი რეაგირება ჰქონდა სხვადასხვა ნეოფაშისტური ჯგუფების აქტივობებზე და სხვადასხვა დაჯგუფებებზე, „რომლებიც პირდაპირ ძალადობისკენ მოუწოდებდნენ და ხშირად იყვნენ კიდეც ამ ძალადობის მონაწილე“. შესაბამისად, სამადაშვილის თქმით, ლოგიკური შედეგია ის ყველაფერი, რასაც საზოგადოება ამ დაჯგუფებების მრიდან ხედავს.

– გასული წლების მანძილზე „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული პოლიტიკა აჩვენებს იმას, რომ სამწუხაროდ, სახელმწიფო არის უკიდურესად დასუსტებული და შეიძლება ითქვას, განადგურებული ამ ოლიგარქიული პოლიტიკის რეჟიმის შედეგად. სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ აღკვეთოს ძალადობა, დემონსტრირება გაუკეთოს იმას, რომ ლეგიტიმური ძალის გამოყენებაზე ლეგიტიმური უფლება გაჩნია მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებს. „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგად, სამწუხაროდ, დღეს ქართული სახელმწიფო, ფაქტობრივად, ასეთ განადგურებულ ვითარებაში ხვდება გამოწვევას, რომელიც გუშინ, ვიღაც გაურკვეველი მოწოდებებისა და ძალადობის მქონე ჯგუფმა გაუგზავნა სახელმწიფოს. ამის შედეგები სამწუხარო იქმნება ყველა ჩვენი მოქალაქისთვის, რომელსაც სურს, რომ ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც მოქალაქეს სახელმწიფო იცავს, – განაცხადა სამადაშვილმა.

## საპატრიარქო: ხელისუფლების ვალია, მიიღოს ზომები ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად

ხელისუფლების ვალია, მიიღოს ზომები ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად, – ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

ამავე განცხადების თანახმად, საპატრიარქო ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას, ძალადობისაკენ მოწოდებას და სიძულვილის ენას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს.

– როდესაც ლაპარაკობენ გამოხატვის თავისუფლებაზე, რატომღაც არ ამბობენ, რომ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით ეს თავისუფლება, როგორც არააბსოლუტური, შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ეწინააღმდეგება ქვეყანაში არსებულ მორალურ ღირებულებებს და ქმნის რეალურ საშიშროებას ხალხში დაპირისპირებისა და შფოთისათვის. ხელისუფლების ვალია, მიიღოს ზომები ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად.



ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია და დღესაც ვაცხადებთ, რომ ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას, ძალადობისაკენ მოწოდებას და სიძულვილის ენას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს, – აღნიშნულია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

# გივი თალაკვაძე: „საქართველოს ეკონომიკას 12%-იანი ზრდის პოტენცია აქვს“

გულიკო ბალაძე

რა რესურსები გააჩნია საქართველოს? რატომ ვერ დააღწია თავი ქვეყანამ სიღარიბეს? როგორ მუშაობს სტატისტიკის სამსახური? „ახალი თაობა“ ექსპერტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილ წევრს, კომპანიების „გეორესურსი“ და „ევროპულ-ქართული ინიციატივების“ ხელმძღვანელ **გივი თალაკვაძეს** ესაუბრა, რომელიც წლების განმავლობაში რიგ ფართომასშტაბიან საერთაშორისო პროექტებს ედგა სათავეში, ბოლო წლებში კი საქართველოს სარესურსო პოტენციალის გაანალიზებაზე, საქართველოს რესურსების მართვისა და რაციონალური გამოყენების საკითხებზე მუშაობს.

***– ბატონო გივი, რა რესურსები გააჩნია საქართველოს და როგორ არის ის გამოყენებული?***

– ზოგადად, რესურსები ნებისმიერი ქვეყნის განვითარების საფუძველია, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, აქტიურად მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველო მცირერესურსიანი ქვეყანაა, რომლის ძირითადი მწარმოებლური პოტენციალი შემოიფარგლებოდა მანგანუმით, ციტრუსებით, ჩაით, მინერალური წყლით, ღვინითა და ზოგიერთი სხვა პროდუქტით.

რეალობა, საბედნიეროდ, გაცილებით უკეთესია. საქართველო ფლობს მთელ რიგ უნიკალურ რესურსებს, რომელთა ეფექტური გამოყენება და ამ მხრივ გააზრებული პოლიტიკის გატარება, შესაძლებელს გახდის წლიურად არა 3-4%-ანი, არამედ 11-12%-ანი ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევას. ასეთი რესურსების ჩამონათვალი ვრცელია.

***– თუ ასე მდიდარია საქართველო, სიღარიბეს თავი რატომ ვერ დააღწია?***

– მთელი რიგი სუბიექტური მიზეზის გამო, ქვეყანამ თავი ვერ დააღწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების არასაკმარის ტემპებს. დღეს დაახლოებით 3,5 მლნ მოსახლეობის მქონე ქვეყანას იმდენი რესურსი გააჩნია, არა მარტო საკუთარი თავის რჩენა შეუძლია, არამედ შეიძლება სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი წარმატებული, ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკურად ანგარიშგასაწევი სახელმწიფო იყოს.

***– როდესაც ეროვნული მოძრაობა აპირებდა ხელისუფლებაში მოსვლას, მაშინაც იყო საუბარი, მაგალითად, წყლის რესურსის გამოყენებაზე. დღესაც გვესმის მოსაზრება, რომ მხოლოდ წყლის რესურსით შეგვიძლია თავის რჩენა.***

– წყლის რესურსები საქართველოში მართლაც უნიკალურია არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისობრივადაც. წყლის რესურსებში მარტო სასმელ წყალს არ ვგულისხმობ. მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული და მინერალური წყლის რესურსი გაგვაჩნია.

საქართველოს წყლის ისეთი რესურსები გააჩნია, რომ ქვეყნის არც ერთი სოფელი უწყლობას არ უნდა განიცდიდეს. მაგრამ წყალს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა რესურსს, ჭკვიანური, რაციონალური, ეფექტური გამოყენება და მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება სჭირდება.

***– თუ საქართველოს თავისი რესურსებით არა მარტო თავისი თავის შენახვა, არამედ რეგიონში მნიშვნელოვანი პოზიციების დამკვიდრება შეუძლია, რა არის ამისთვის აუცილებელი?***

– ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია კარგად გარკვევა იმაში, რას ფლობს საქართველო. ეს არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია.

***– მეცნიერებს არ აქვთ აღწერილი, გაანალიზებული, რა რესურსებს ფლობს საქართველო?***

– მეცნიერებმა ძალიან კარგად იციან, რა რესურსებს ფლობს საქართველო. მაგრამ მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი. სახელისუფლებო სტრუქტურებმა უნდა მოახდინონ მისი გამოყენება.



რესურსები ერთ-ერთი წინაპირობაა სერიოზული მოცულობის ინვესტიციების მოზიდვისთვის. ინვესტიციების გარეშე საქართველოში ვერაფერი გაკეთდება. ინვესტიციები გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ეკონომიკის არსებით გაუმჯობესებაზე.

***– მაინც რა არის საჭირო მეტი ინვესტიციებისთვის?***

– უცხოელი ინვესტორების დარწმუნება, რომ მათ ინვესტიციებს არაფერი დაემუქრება, დაცული და მომგებიანი იქნება. ვინც სერიოზული ფულის მფლობელია, მას აინტერესებს იმ ფულის რაციონალური გამოყენება. თუ ინვესტიცია ინვესტორისთვის ხელსაყრელია, ის ხელსაყრელი იქნება იმ ქვეყნისთვისაც, სადაც ინვესტიცია განხორციელდება. შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოსახლეობას გაუჩნდება მდგრადი შემოსავალი, არსებითად გაუმჯობესდება სოციალური გარემო.

***– რომელ უწყებას ენიჭება გადამწყვეტი როლი ამ საკითხების გადაწყვეტაში?***

– ქვეყნის რესურსების შესწავლის და ობიექტური და სრულფასოვანი აღწერის საკითხში ერთ-ერთი მთავარი რგოლია სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მისი პროდუქტი – სრული და ზუსტი ინფორმაცია, ქვეყნის უკლებლივ ყველა დარგის შესახებ, აუცილებელი პირობაა შესაბამისი ანალიზისათვის, რასაც, ერთი მხრივ, მთავრობა და, მეორე მხრივ, საერთაშორისო სტრუქტურები და პოტენციური ინვესტორები უნდა ახორციელებდნენ.

***– რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში?***

– 2009 წლიდან რეგულარულად ქვეყნდება სტატისტიკური წელიწდეული, რომლის პირველადი ანალიზიც კი ბევრ კითხვას აჩენს. ამ თემაზე, ალბათ, საგანგებო მსჯელობა უნდა გაიმართოს ქვეყნის წამყვანი ეკონომისტების და სტატისტიკოსების მონაწილეობით.

***– კერძოდ, რა პრობლემას ხედავთ ამ მხრივ?***

– უპირველესად, ეს არის ყბადაღებული უმუშევრობის დონე, რომელიც ოფიციალურად 12,7%-ს შეადგენს. თუმცა, სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 60-65% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ასეთი მდგომარეობის თავი და თავი თვითდასაქმებულთა საკითხია, რომელიც წლების განმავლობაში ციფრების მანიპულირებისთვის წარმატებით გამოიყენება.

მეორეა ხელფასები. საშუალო ხელფასმა საქართველოში ოფიციალურად 1.200 ლარს მიაღწია. თუმცა, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საშუალო ხელფასის დაანგარიშებისას, არ ითვალისწინებენ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთა, საფინანსო სტრუქტურებისა და მსხვილი კომპანიების ტოპ მენეჯმენტის ხელფასებს.

ამ კატეგორიების გამოკლების შემდეგ, საქართველოში საშუალო ხელფასი მნიშვნელოვნად დაიკლებს და, ალბათ, 700-720 ლარამდე დავა. სრულიად არასაკმარისადაა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკა, სადაც მდგომარეობა აშკარად კატასტროფულია და უშუალოდ უკავშირდება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას.

გაეროს მონაცემებით, თუ ქვეყნის მიერ მომხმარებული სურსათის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია, ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკულ ზღვარს აცდენილია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 70-80% შეადგენს.

***– ანუ საშიში ტენდენციებია.***

– 2001 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებებმა 135.000 შეადგინა, ხოლო 2016 წელს 1.540.000. თუ ეს მონაცემები რეალურია, ზრდამ ამ პერიოდში 1.200% შეადგინა. თუმცა, არანაირი რეაგირება ან ახსნა-განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

***– საარსებო მინიმუმზე რას იტყვით?***

– საარსებო მინიმუმის შესახებ საქსტატის 2019 წლის მარტის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი თვეში 181.2 ლარია. ორსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი – 256.8 ლარი, სამსულიანის 288.9 ლარი, ოთხსულიანის კი 321 ლარი. ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი მარტისთვის განსაზღვრულია 361.2 ლარით, ექვსსულიანის და მეტის კი – 427-ით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური განმარტავს, რომ 2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის ბრძანების შესაბამისად.

მოყვანილ მონაცემებს რეალურ ცხოვრებასთან არაფერი აქვთ საერთო.

***– რა უნდა გაკეთდეს?***

– „წელიწდეულის“ მონაცემით, სამსულიან, ოთხსულიან და მეტსულიანი ოჯახისთვის დაახლოებით 290-360 ლარია საჭირო, რომ თავი შეინახოს. ბოლოს გამაოგნებელი ციფრია მოყვანილი – 6 და მეტსულიანი ოჯახებისთვის თურმე ერთი და იგივე თანხაა საჭირო თავის რჩენისთვის.

***– ეს რაზე მეტყველებს?***

– ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ამოცანის დაყენებასაც არასათანადოდ ვუდგებით. ამიტომ ამოცანის გადაწყვეტის გზებსაც ვერ მოვნახავთ.

# ზურა ხაჩიძის ხელფასი დასახელებულზე 2-ჯერ მეტია



სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილემ უკვე იცრუა. ახლად დანიშნულმა ზურა ხაჩიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ხელფასი 1500 ლარს არ სცდება. რეალურად კი რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების ყოველთვიური ანაზღაურება მთავრობის სპეციალური დადგენილებით რეგულირდება, რომლის მიხედვითაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების შესახებ მთავრობამ დადგენილება 2019 წლის 28 მაისს მიიღო. დოკუმენტის მიხედვით, გუბერნატორის ხელფასი თვეში 5.900 ლარია, პირველი მოადგილის – 3.000 ლარი, ხოლო მოადგილეების თანამდებობრივი სარგო თვეში – 2.900, წელიწადში კი – 34.800 ლარი.

– ჩემი საქმიანობით უფრო მეტი ანაზღაურება მქონდა. ხელფასი არ სცდება 1.500 ლარს. ძალიან რთული იყო, ამ სამსახურში წამოვსულიყავი, რომ არა ამ რეგიონის სიყვარული, – განუცხადა ზურა ხაჩიძემ ჟურნალისტებს.

# რუსეთი ევროპარლამენტის არჩევნებშიც ჩაერია

## რასმუსენი: „რუსეთიდან გაზის მიღება არაჯანსაღია“

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა საქართველოში რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების ზრდას ლგბტ-პრაიდს და გეი-თემატიკას უკავშირებენ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა საკითხები დომინირებს.

ექსპერტების ყურადღება მიპყრობილია იმაზე, შემოიღებს თუ არა ვაშინგტონი სანქციებს იმ გერმანელი ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობენ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაზსადენის მშენებლობაში.

ნატოს ყოფილი გენმდივანი დანიელი ანდრეს ფოგ რასმუსენი მიიჩნევს, რომ სანქციები უნდა შეეხოს იმ გერმანულ ფირმებს, რომლებიც გაზსადენის სფეროში რუსებთან თანამშრომლობენ.

რასმუსენის აზრით, რუსეთიდან გაზის მიღება არაჯანსაღია. ჩრდილოეთი ნაკადი 2-ის დამთავრებისა და ამუშავების შემთხვევაში გერმანია რუსეთიდან გაზის 60-70%-ს მიიღებს. ამერიკელები სწორად სვამენ შეკითხვას – რატომ უნდა დააბანდონ ამხელა ინვესტიციები ევროპის თავდაცვასა და უსაფრთხოებაში მაშინ, როცა ევროპელები ხარჯავენ ფულსა და რესურსებს რუსებისთვის მეტი ძალაუფლების გადაცემაზე.



ნატოს ყოფილი გენმდივანი მიიჩნევს, რომ ევროპამ გაზი დემოკრატიებიდან უნდა შეისყიდოს და არა პუტინისთანა დიქტატორებისაგან. ამიტომ ნორვეგიამ არაფრით არ უნდა თქვას უარი საკუთარი გაზისა და ნავთობის ექსპორტირებაზე.

რუსული გაზის ევროპულით ჩანაცვლებისკენ მოლდოვასაც მოუწოდებენ. კიევი ურჩევს კიშინიოვს, აღარ გააგრძელოს კონტრაქტი გაზპრომთან, რომელსაც ვადა 2019 წელს გასდის და უკრაინის გავლით გაზი ევროკავშირიდან შეიტანოს. მარაგებისთვის უკრაინა მოლდოვას საკუთარ გაზსაცავებსაც კი უთმობს.

საქართველო გაზს მეზობელი აზერბაიჯანიდან იღებს. თუმცა, აქა-იქ გაისმის განცხადებები გაზის ნაწილის რუსეთიდან შემოტანის აუცილებლობაზე. გამწვავებული კონკურენციის ფონზე, რუსეთის საქართველოს აზერბაიჯანთან დაპირისპირება ზედგამოჭრილი უნდა იყოს.

ენერგეტიკა რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებაშიც ფიგურირებს. ანალიტიკოსების აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში სიცხადეს შეიტანს დიდი ოცეულის შეხვედრა იაპონიაში 28-29 ივნისს. აშშ-ის პრეზიდენტმა ამ ფორუმის დროს თავის რუს კოლეგასთან შეხვედრა რამდენჯერმე ახსენა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლიდერებს შორის საუბარი შესაძლებელია სტრატეგიულ უსაფრთხოებაზე. სხვა თემებზე მხარეებს შორის დიდი უთანხმოებაა.

ექსპერტების დაკვირვებით, ბოლო დროს პუტინი დასავლეთის სახელმწიფოებს თითქმის აღარაფრისკენ მოუწოდებს და იშვიათად ახსენებს. აშშ-ის თაობაზე იგი ამბობს, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები დეგრადაციას განიცდის.

აშშ-ში კი ისევ აქტუალურია რუსეთის ჩარევა 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში და მისი მონაწილეობა ტრამპის პოზიციების გაძლიერებაში.

დღეს ირკვევა, რომ მოსკოვი მაისში გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებშიც ერეოდა. ევროკომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჰაკერული თავდასხმების ნაცვლად, რუსეთი აქტიურად იყენებდა ფეიკების აპლიკაციებსა და ბოტებს. რუსეთიდან ვრცელდებოდა დეზინფორმაცია მიგრანტებზე, ექსტრემიზმზე. კრემლი საეჭვოს ხდიდა ევროკავშირის ლეგიტიმურობას და აღვივებდა პოლარიზაციას. ავრცელებდა აზრს, რომ დასავლური და ქრისტიანული ღირებულებები ევროკავშირის ტერიტორიაზე საფრთხეშია.

ევროკომისიის დასკვნით, რუსეთის მიზანი იყო ევროპარლამენტში ულტრამემარჯვენე და პრორუსული პარტიების გამარჯვება. ასეთი პარტიები უმრავლესობით ვერ გავიდნენ, თუმცა მათ მოიპოვეს მანდატების მეოთხედი, რაც არც ისე ბევრად აღემატება წინა ევროპარლამენტის მაჩვენებელს.

ეს იმის მომასწავებელია, რომ რუსეთი კავკასიაში ისევ აქტიური იქნება, მისი დაპირისპირება აშშ-სთან კი აქაც გამწვავდება.

# თუ საბანკო და სამშენებლო რეგულაციები არ შერბილდება, შეიძლება უმუშევრობის რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდოს



– დღეს რომ მშენებლობის სექტორში 4.000 ადამიანით ნაკლებია დასაქმებული, ზუსტად 6 თვეში იგივე დანაკლისი გვექნება სარემონტო სამუშაოებში, შემდეგ ტექნიკის მაღაზიებში, რადგან ეს ჯაჭვური პროცესია, – ასე აფასებს მენაშენეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.175 კაცით შემცირდა.

თორნიკე აბულაძე აცხადებს, რომ შემცირებული დასაქმებულთა რაოდენობა პირდაპირ მიბმულია თბილისის მერიის მეირ გაცემულ ნებართვებსა და საბანკო რეგულაციებზე. სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორის ვარაუდით, მოსალოდნელია, რომ რამდენიმე თვეში სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების რაოდენობა 20.000 გაიზარდოს.

– ის, რომ 4.000 კაცით ნაკლები მუშაობს ამ სფეროში, სრულიად გასაგებია. მგონია, რომ ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. თუ საბანკო და სამშენებლო რეგულაციები არ შერბილდება, შეიძლება, სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდოს. ჩვენს სფეროში ეკონომიკური აქტივობა კლებულობს, შესაბამისად, დასაქმებულთა რიცხვი დაიკლებს. იმის გამო, რომ აღარ გაიცემა ნებართვები იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც გაიცემოდა, ცხადია, ეს არის ის ფასი, რომელსაც ვიხდით. როდესაც დაკვეთა არის ის, რომ მშენებლობები უნდა შემცირდეს, ამას მოჰყვება ნაკლები სამუშაო ადგილი და ნაკლები ეკონომიკა. ამის ალტერნატივა არის ის, რომ ქაოტური მშენებლობები თბილისში ისევ დაიწყოს. ახლა არის ასარჩევი სტრატეგია, რა უფრო მნიშვნელოვანია. მშენებლობები საბოლოო ჯამში მაინც განვითარდება, თუმცა ეს მოხდება 5 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში კი ჩვენ მძიმე ეფექტი გვექნება ეკონომიკაში და დასაქმებაშიც. მაგრამ, მშენებლობების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება, – განმარტავს თორნიკე აბულაძე.

თორნიკე აბულაძე „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ თბილისის მერობის ყველა კანდიდატის დაპირება მშენებლობების შემცირებაა, მაგრამ რა ეკონომიკური რისკები მოჰყვება ამ ყველაფერს, არავინ ითვლის.

– ყველა მერობის კანდიდატის საარჩევნო დაპირება იყო მშენებლობას შეაჩერებს. როდესაც მშენებლობებს შეზღუდავ, ეს ხომ ნიშნავს ნაკლებ დასაქმებულ ადამიანს? ეს იმ მომენტში ჟღერდა, როგორც პოლიტიკური ლოზუნგი. კალაძე არის პირველი მერი, რომელმაც ამ დაპირების განხორციელება დაიწყო, რადგან მას მოსახლეობისგან ეს დაკვეთა ჰქონდა. შემცირებული მშენებლობები ასევე გამოიწვევს ბინების დეფიციტს, რაც ფასებს გაზრდის. თბილისში დაახლოებით 350.000 მისამართი არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ყველა ერთეულის ღირებულება გაიზრდება. ყველაფერს აქვს თავისი უარყოფითი მხარე, ერთი მხრივ, ჩვენ დავკარგეთ 4.000 სამუშაო, მეორე მხრივ 350.000 ერთეულ ქონებას თბილისში მოემატება ფასი, თუნდაც 3-5 პროცენტით, – განაცხადა თორნიკე აბულაძემ.

ჯერჯერობით დასაქმებულთა რაოდენობა არ შეუმცირებია დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯი ჯგუფის“ დამფუძნებელ ბეჟან წაქაძეს. თუმცა, იგი ადასტურებს, რომ სამუშაო ადგილები დღითიდღე მცირდება, რაც, მისი თქმით, 2018 წელს ამოქმედებული საბანკო რეგულაციებით არის განპირობებული.

– მშენებლობის ტემპი შემცირდა, რაც ძირითადად უკავშირდება საბანკო რეგულაციებს, ჯარიმებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მშენებლობა ძირითადად გარეუბნებში გვაქვს დაწყებული, სადაც რეალიზაცია საგრძნობლად შემცირებულია. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა შეამცირეს დასაქმებულთა რიცხვიც. რეგულაციები გადასახედია, რადგან ჩვენი სექტორიდან პრობლემური სესხები 0,8 პროცენტი იყო, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეგულაციების შესარბილებლად, რის შემდეგაც რეალიზაცია გაიზრდება, რაც ნელ-ნელა გამოასწორებს შექმნილ ვითარებას, თუმცა ამას გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან ტემპი უკვე შენელდა, სწრაფად ამუშავებას კი ისე დრო სჭირდება, – აცხადებს ბეჟან წაქაძე.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის იანვრიდან საფინანსო სექტორისთვის ამოქმედდა რეგულაციები, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს შემოსავლის დადასტურების გარეშე, სესხის აღება აეკრძალათ. ასევე შეიცვალა სესხის კოეფიციენტები და მისი მოცულობის ლიმიტიც. აღსანიშნავია, რომ რეგულაციების ამოქმედებამ გარკვეული პრობლემები უკვე შეუქმნა ბიზნესს (ტექნიკის მაღაზიები, სამშენებლო სექტორი) და იმ მოქალაქეებს, რომელთაც შემოსავალი ოფიციალურად არ უფიქსირდებათ.

**კომერსანტი**

# ივა ჭყონია: „იმპორტიორ კომპანიებს გეზ-ში დღგ-ს გადახდას მომენტალურად სთხოვენ — მარაზმში ვართ“

– იმპორტიორ კომპანიებს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში(გეზ-ი) დღგ-ს გადახდას მომენტალურად სთხოვენ, – ამის შესახებ „კომერსანტს“ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა ივა ჭყონიამ განუცხადა.

– 2 თვეა უკვე, როდესაც ტვირთი გეზ-ში შემოდის, ყვითელ დერეფანში ხვდება. ეს ნიშნავს იმას, რომ კომპანიების უმრავლესობა, მნიშვნელობა არ აქვს „ოქროს სიაში“ არის თუ არა, იძულებულია თანხა მომენტალურად გადაიხადოს. აქამდე ჩვეულებრივ საგადასახადო სისტემაში მყოფ კომპანიებს თანხა 15 დღის განმავლობაში უნდა გადაეხადათ, რაც 5 დღემდე შეუმცირეს. „ოქროს სიაში“ მყოფებს კი საშეღავათო პერიოდი 30 დღე ჰქონდათ. ამჟამად ყველას მომენტალურად ახდევინებენ. გეზ-ში გეუბნებიან, რომ მანქანას ვერ გაიყვან თუ არ გადაიხადე, – აცხადებს ჭყონია.მისი განცხადებით, აღნიშნული პრობლემის შესახებ მან ბიზნესომბუდსმენს უკვე აცნობა.

– მარაზმში ვართ. კომენტარსაც ვერ ვაკეთებ, ვერ ვხდები რა ხდება. ბიზნესი დათვლილი ხომ გაქვს, ჩამოიტანე 10.000 ლარის ღირებულების პროდუქცია. აქედან დღგ, 18%-ი ანუ 18.000 ლარია, რომელიც გადასახდელია. წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში 15 დღეში უნდა გადაიხადო 18.000 ლარი. ახლა კი, როგორც კი პროდუქცია შემოგაქვს, გეუბნებიან, რომ მაშინვე თუ არ მომცემ 18.000 ლარს, არ გაგატან მანქანასო. წარმოიდგინეთ, რა სერიოზული პრობლემების წინაშე დგებიან კომპანიები, – აცხადებს ჭყონია.




გეზ-ში პრობლემები ექმნება საწვავის იმპორტიორ კომპანიებსაც. აღნიშნულს ადასტურებს „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილიც.

ბიზნესომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ საკითხის შესახებ ინფორმირებულები არიან. შესაბამისად, საკითხს შეისწავლიან და საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციაში ჩაერთვებიან.

**კომერსანტი**

# „ბიზნესი არ არის მყისიერი გადაწყვეტილებების მიღების სფერო“

გადასახადის გადამხდელთა კავშირის პრეზიდენტმა ალექსანდრე რატიშვილმა „საქმიან დილაში“ განაცხადა, რომ ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიცაა „ოქროს სიის“ ცვლილება, მყისიერად არ უნდა მოხდეს, რადგან ეს ბიზნესზე დამაზიანებლად მოქმედებს. მისივე თქმით, ხშირად გადაწყვეტილებები მათთან კომუნიკაციის გარეშე მიიღება.

– მთავარი ჩვენთვის, ბიზნესგაერთიანებებისთვის, არის ის, რომ მთავრობის მსგავსი გადაწყვეტილებები ჩვენზე მყისიერად ახდენს გავლენას და გვიწევს გამოსავლის ძებნა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში. ბიზნესი არაა მყისიერი გადაწყვეტილებების მიღების სფერო. ჩვენ გეგმები გვაქვს. ბიუჯეტი, რომელიც გაწერილია გრძელ ვადაზე, ერთ და ზოგჯერ რამდენიმე წელიწადზეც. მთავარი პრობლემა არის გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი, რატომ და რა მიზეზების გამო ხდება ცვლილებები, ამ ყველაფრის არგუმენტაცია უნდა მოხდეს. თან ცვლილებები უშუალოდ ჩვენზე აისახება და ამ დროს ჩვენთან კომუნიკაცია საერთოდ არ მიმდინარეობს, – აღნიშნავს რატიშვილი.

მისივე თქმით, ოქროს სიის შეღავათების გაუქმების გადაწყვეტილება ბიზნესისთვის არანაირი სიკეთის მომტანი არ იქნება და გაუგებარია, რაში დასჭირდა მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმა.

– ჩემთვის გაუგებარია, რა საჭირო იყო ამ გადაწყვეტილების მიღება ან ახლა ან 3 თუ 6 თვის მერე. ეს გაუგებარია მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე ტიპის განმარტება. სწორედ ამიტომ 11-მა ორგანიზაციამ გავამზადეთ წერილი, მივმართეთ ოფიციალურად სამინისტროს და ველოდებით დასაბუთებულ პასუხს, – ამბობს რატიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესს იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადა 30 დღის ნაცვლად 5 დღეში მოუწევს. აღნიშნულს საქართველოს ფინანსთა მინისტრ ვანო მაჭავარიანის 2019 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ბრძანება №162 ითვალისწინებს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, იმპორტის გადასახდელების გადახდის 5-დღიანი ვადა გავრცელდება ოქროს სიის მონაწილის კუთვნილ საქონელზეც (ნაცვლად მანამდე მოქმედი 30-დღიანი ვადისა) და წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზეც (ნაცვლად მანამდე მოქმედი 15-დღიანი ვადისა). არსებულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედმა 11 ბიზნესგაერთიანებამ ერთობლივი წერილით ფინანსთა მინისტრს მიმართა.

– მიმართვის მიზანია, ფინანსთა მინისტრის მხრიდან გაკეთდეს ოფიციალური და საჯარო განმარტებები მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ჯერჯერობით მხოლოდ დახურულ კარს მიღმა ხდება, – აცხადებენ ბიზნესგაერთიანებები.

**BM.GE**

# პაბ ჯორჯია: „სახელმწიფო ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების დროს აჭიანურებს“

ქვეყანაში სტრატეგიული მნიშვნელობის ტვირთების და განსაკუთრებით, ხორბლის საეჭვო მოძრაობასთან დაკავშირებით პაბ ჯორჯია ხშირად აკეთებს განცხადებას, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება არაფერს ცვლის. ორგანიზაციის მკვლევარი და ანალიტიკოსი მაია კაციტაძე ხორბლის იმპორტთან დაკავშირებულ პრობლემებზე „კომერსანტთან“ საუბრობს და აცხადებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსის დარეგულირებას კერძო ბიზნესები ცდილობენ.



თითქოს, ყველა თანხმდება, რომ ქვეყანაში ხორბლის იმპორტი უნდა რეგულირდებოდეს ცივილურად, რისი უალტერნატივო გზა ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის მიღებაა. რომელიც, თავის მხრივ ძალიან ბევრ (სურსათის უვნებლობის, ეკოლოგიისა თუ ფიტო-სანიტარიის და ა.შ.) საკითხს მოაწესრიგებს. საბოლოოდ კი, შექმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, რომელიც უხეშად დაარღვია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანებამ №314 – როცა აიკრძალა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ხორბლის იმპორტი.

ივლისის ბოლოს ხორბლის მოსავლის აღების აქტიური სეზონი იწყება და ქართული წისქვილკომბინატების და შემდგომ უკვე საქართველოს მომხმარებლების წინაშე კვლავ უცვლელი მდგომარეობაა: გაუკონტროლებელი, აღურიცხავი, გაურკვეველი ხარისხისა და წარმოშობის მქონე ხორბალი რუსეთიდან, რომელიც უნდა იქცეს ფქვილად და შემდგომ თითოეული ოჯახისთვის მნიშვნელოვან პროდუქტად – პურად. სახელმწიფო კი ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის მიღების/დამტკიცების დროს აჭიანურებს, არადა, ერთი შეხედვით, თითქოს საწინააღმდეგოც არაფერი აქვს.... სწორედ ეს გაურკვევლობა აჩენს ეჭვებს: ვისი ბიზნესინტერესია საქართველოში საავტომობილო გზით ხორბლის იმპორტის ლობირება? განსაკუთრებით კი ამ ეჭვს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ აღნიშნულმა ავტომობილებმა საკმაოდ უცნაური რეალობა შექმნა – საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვებმა ბორბლებზე გადაინაცვლა, მაშინ როცა, ბუნებაში არ შეიძლება ავტომობილით გადაზიდვა გემთან და რკინიგზასთან კონკურენციაში იყოს.

ერთი სიტყვით, ამხელა შესავლის გაკეთება ერთმა დამაიმედებელმა ინფორმაციამ მაიძულა: შეიკრიბნენ ქართული ფქვილის მსხვილი მწარმოებლები (წისქვილკომბინატები) და გადაწყვიტეს, სახელმწიფოს აქტიურ ქმედებებამდე, თავად მიხედონ თავიანთ სფეროსაც და მოსახლეობის დაცვასაც. რაც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ხელმოწერით დაფიქსირდა. რომელშიც მწარმოებლები იღებენ ვალდებულებას: თავიანთ წისქვილკომბინატებში არ მიიღონ ხორბალი, რომელსაც არ ახლავს ყველა საერთაშორისო გადაზიდვების ნორმის შესაბამისი დოკუმენტი.

თუმცა ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. პირველ რიგში, სახელმწიფოა ვალდებული იზრუნოს დარგის განვითარებაზე, უზრუნველყოს იგი სტანდარტით და დაცვის ეფექტიანი მექანიზმებით, მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია მეწარმეს თავისი კეთილი ნებისა თუ კორპორატიული პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედება. დღევანდელი მდგომარეობით – სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების არაოპერატიულობით თუ საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულებით – წახალისებულნი არიან არაკეთილსინდისიერი მეწარმეები, რომლებიც ხარისხზე ორიენტირებული მეწარმეების მიერ შექმნილი მემორანდუმის პარალელურად „ხეირის ნახვას“ მოინდომებენ და ე.წ. „ლევ წისქვილებს“ აამუშავებენ, – აცხადებს მაია კაციტაძე.

**კომერსანტი**

# ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობა მცირდება

მიმდინარე წლის აპრილში კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 165.6 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულის შესახებ ეროვნული ბანკის „საფინანსო სექტორის მიმოხილვაშია“ ნათქვამი. აღსანიშნავია, რომ მიმოხილვის თანახმად, წლიურად ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულება 52.7 მილიონი ლარით შემცირდა. კერძოდ, 2018 წლის აპრილში ეს მაჩვენებელი 218.3 მილიონი ლარი იყო.

ამასთან, სებ-ის ცნობით, მიმდინარე წლის აპრილის მონაცემებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობამ 21.5 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა, გასული წლის ამავე პერიოდში 30 მლნ ლარის ოდენობის სესხის ჩამოწერა მოხდა.

გარდა ამისა, საფინანსო სექტორის მიმოხილვის თანახმად, აპრილში 16.8 მლნ ლარის მოცულობის ჩამოწერილი სესხის ამოღება მოხდა, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მონაცემი 7.1 მლნ ლარი იყო.

**bpn.ge**

# ლევან ჯიბღაშვილს პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება სურს



ნარკოდანაშაულში ბრალდებული მსახიობის ლევან ჯიბღაშვილის საქმეზე პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომაზე ჯიბღაშვილის ადვოკატმა ანი კოტეტიშვილმა განაცხადა.

საქმის პროკურორის განმარტებით კი, დაცვის მხარეს კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით, განცხადებით არ მიუმართავს.

ამასთან დაკავშირებით გუშინდელ, 17 ივნისის, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა წარმოთქვა.

ლევან ჯიბღაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული.

– თუკი საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით განცხადებას შემოიტანენ, ისევე, როგორც ყველა ბრალდებულს, ჯიბღაშვილსაც აქვს უფლება, ეს განცხადება განვიხილოთ, – განაცხადა საქმის პროკურორმა ნანა ჯაყელმა.

როგორც პროკურორი განმარტავს, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, მოცემულ მომენტში დაცვის მხარემ მხოლოდ სიტყვიერი სურვილი გამოთქვა. ჯაყელი ამბობს, რომ ყველა საქმე ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

– დღეს საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა წარადგინა. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ დღეისთვის შესავალი სიტყვა წარმოდგენილი არ აქვს, რადგან ბრალდების მხარესთან მოლაპარაკება სურს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. პირობებზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან კონკრეტული მოლაპარაკება არ მიმდინარეობს, დაცვის მხარისგან განცხადება არ შემოსულა.

ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვიერად განაცხადეს დღევანდელ პროცესზე და ასევე დაცვის მხარემ დააფიქსირა, რომ განცხადების შემოტანას აპირებს. თუკი განცხადება შემოტანილი იქნება, ისევე, როგორც ყველა ბრალდებულს, მოცემულ შემთხვევაშიც აქვს უფლება, ეს განცხადება განვიხილოთ და განხილვის შემდეგ, იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ყველა საქმეზე ინდივიდუალური მიდგომაა. დაკონკრეტებით ვერაფერს მოგახსენებთ, ვიდრე კონკრეტული განცხადება არ იქნება განხილული, – განაცხადა ჯაყელმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 31 ივლისს, 15:00 საათზე დაინიშნა.

ლევან ჯიბღაშვილი სამართალდამცავებმა 21 აპრილს დააკავეს. მისი ავტომობილის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა 0.5 გრამი კოკაინი და 2 ნატეხი ტაბლეტი ე.წ. კლუბური ნარკოტიკი ამოიღეს. ჯიბღაშვილს ბრალი სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით წარუდგინეს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# რუსთავის ტბაში 11 წლის ბიჭი დაიხრჩო



გუშინ, 17 ივნისს, რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში ტბაში 11 წლის ბიჭი დაიხრჩო. მოზარდი ძმასთან და მეგობრებთან ერთად იყო პარკში.

ბავშვი ტბაში საბანაოდ შევიდა და გამოსვლა ვეღარ შეძლო. მაშველებმა ცხედარი უკვე ამოიყვანეს და პროზექტურაში გადაასვენეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, საქმე 115-ე მუხლით არის აღძრული.

# სვანეთში სლოვაკეთის მოქალაქე დაიღუპა

## ტურისტი თეთნულდიდან გადავარდა



სვანეთში სლოვაკეთის მოქალაქე დაიღუპა. 4-კაციანი ტურისტული ჯგუფის წევრი, თეთნულდიდან გადავარდა.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები.

გარდაცვლილი ტურისტი მაშველებმა მთის ფერდობზე იპოვეს და მესტიაში გადმოასვენეს. დანარჩენმა ტურისტებმა მაშველების დახმარებაზე უარი თქვეს და მესტიისკენ გზა ფეხით გააგრძელეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო.

# ნათია მეზვრიშვილი ლევან ვასაძეს დაემუქრა

## „ვერავინ გაარღვევს პოლიციის კორდონებს, ვერავინ იძალადებს პოლიციელებზე“



– არავის უნდა გაუკვირდეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლევან ვასაძის განცხადებაზე უკვე მოახდინა რეაგირება – დღეს დილით გამოძიება უკანონო ფორმირების მუხლით დავიწყეთ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა გუშინ, 17 ივნისს, განაცხადა.

მან კომენტარი გააკეთა ლევან ვასაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც თბილისში პატრულირებას სახალხო რაზმები დაიწყებენ.

როგორც ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, იმუნიტეტით ამ ქვეყანაში ვერავინ ისარგებლებს, მით უმეტეს, როდესაც ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

– როგორც წესი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დარღვევებზე აქვს ადეკვატური და შესაბამისი რეაგირება. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც კანონს არღვევენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების და სახელმწიფო უწყებების მსგავსი ფუნქციებით რაიმე ტიპის ე.წ. ფორმირებების და წარმონაქმნების შექმნის ნებისმიერი მცდელობა, ისევე, როგორც ამ ტიპის ფორმირებების ხელმძღვანელობა და მათში გაწევრიანება, ისჯება კანონით და მეტიც, ისჯება სისხლის



სამართლის კოდექსით, – აღნიშნა შს მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, სამინისტრო ჩაატარებს ყველა აუცილებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, შეფასდება კონკრეტული პირის და პირების ქმედებები და ამას მიეცემა სათანადო სამართლებრივი შეფასება.

– საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქცია მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა. სანამ ადამიანები კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამენ, კონკრეტულ ძალადობრივ ქმედებებს განახორციელებენ ნებისმიერი ჯგუფის მიმართ, სამინისტროს ექნება ადეკვატური რეაგირება.

გამოძიების შედეგები გონივრულ ვადებში უნდა ვიხილოთ, რაც ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებას სჭირდება, ბევრი ადამიანი მონაწილეობდა ამ ყველაფერში და ამას შესაბამისი დრო სჭირდება, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

ის გამოეხმაურა ვასაძის განცხადებას პოლიციის კორდონების გარღვევასთან დაკავშირებითაც.

– არ ვიცი, რაინდი ვინ არის, მაგრამ ყველას მიმართ, ვინც ხელს აღმართავს პოლიციელზე, სამინისტროს მხრიდან რეაგირება იქნება მკაცრი. ბუნებრივია, ვერავინ გაარღვევს პოლიციის კორდონებს, ვერავინ იძალადებს პოლიციელებზე. თუ ასეთ ფაქტს ადგილი ექნება, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და ამაზე შესაბამისი რეაგირება იქნება, – დასძინა ნათია მეზვრიშვილმა.

# ომარ გამყრელიძის დნმ ყანდაურაში მკვლელობის იარაღებზე არ დაფიქსირდა

## ვინ მოკლა 3 მაისს 4 ადამიანი?

ყანდაურაში მომხდარი სასტიკი მკვლელობის ახალი დეტალები გამოიკვეთა – დანაშაულის იარაღზე ბრალდებულ ომარ გამყრელიძის დნმ არ აღმოჩნდა.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იარაღზე, რომლითაც 4 ადამიანი ადგილზე მოკლეს, მეხუთე კი მიყენებული ჭრილობებით რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა, სხვა პირის დნმ ფიქსირდება. სოფელ ყანდაურაში მკვლელობის ბრალდებით, 85 წლის ომარ გამყრელიძე დააკავეს. მას ბრალი შვილის, რძლისა და ორი მეზობლის მკვლელობაში წარუდგინეს. შემთხვევის დროს თავის არეში ასევე მძიმედ დაიჭრა ომარ გამყრელიძის მეუღლე, რომელიც ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა. ამ დრომდე იძებნება მისი შვილიც, რომელიც შეიძლება საქმეში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იყოს. ომარ გამყრელიძის შვილიშვილი კი მომხდარიდან რამდენიმე დღეში, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ყანდაურაში მკვლელობა 3 მაისს მოხდა.



მოკლული შავლეგ გამყრელიძის მამა და მარიამ მეზვრიშვილის მეუღლე ამბობს, რომ მისთვის ექსპერტიზის პასუხები არავის გაუცნია, თუმცა ცნობა იმის შესახებ, რომ დნმ დაკავებული 85 წლის მოხუცს არ ეკუთვნის, მოულოდნელი არ იყო.

– დღეს ვინმეს უკვირს, რომ დნმ არ ეკუთვნის ომარ გამყრელიძეს? ჩემთვის ეს ინფორმაცია არავის მოუწოდებია, არავინ დამკავშირებია საგამოძიებო ორგანოდან, თუმცა ეს ფაქტი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მოხუცმა, რომელიც ნივთებსაც ვერ იჭერდა, 5 ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტა და თანაც ასე დამიზნებით ესროლა? ეგ მაგის გაკეთებული არ არის, ვერ შეძლებდა.

მოვითხოვ, დაისაჯოს დამნაშავე. ჩემი ერთადერთი ვერსიაა, რომ ჩემი შვილი და ცოლი შეესწრნენ დანაშაულს და მოწმეები რომ არ დარჩენილიყვნენ, ამიტომ დახოცეს.

ჩვენს ოჯახს არასდროს მტერი არ გვყოლია და სხვა ვერსია მე არ მაქვს. მოვითხოვ, დროულად გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავე, – განაცხადა ფრიდონ გამყრელიძემ.

ის ასევე საეჭვოდ მიიჩნევს დაკავებული ომარ გამყრელიძის შვილის, ნოდარ გამყრელიძის გაუჩინარებას.

– ომარ გამყრელიძეს სამი შვილი ჰყავდა. აქედან ორი შვილი თბილისში ცხოვრობდა. როგორც მახსოვს, მეორე ბიჭი, ნოდარ გამყრელიძე, აფხაზეთის ომში მონაწილეობდა. მართალია, აქ იშვიათად ვხედავდი, მაგრამ მკვლელობის დღეს სად იყო, არავინ იცის. ამბობენ, პოლიცია ეძებსო, – ამბობს ფრიდონ გამყრელიძე.

# თბილისში, აბაზანიდან გამოსულ დედას, 3 თვის ბავშვი გარდაცვლილი დახვდა



ტრაგედია მოხდა თბილისში. ჯიქიას ქუჩაზე 3 თვის ბავშვი, სავარაუდოდ, ასფიქსიით გარდაიცვალა. შემთხვევის დროს დედა სახლში იმყოფებოდა. მეზობლების თქმით, ქალი აბაზანაში იყო შესული და გამოსვლის შემდეგ ჩვილი გარდაცვლილი დახვდა. მეზობლების განცხადებით, ბავშვის დაღუპვის შესახებ პოლიციას თავად მშობელმა შეატყობინა. მეზობლების თქმით, იმ დროს, როდესაც დედა სააბაზანოში იმყოფებოდა, ბავშვი, სავარაუდოდ, კრუნჩხვებში ჩავარდა და დაიღუპა.

ახლობლების თქმით, ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, ასფიქსიაა.

– ეძინა ბავშვს და ბანაობდა დედა, რომ გამოვიდა, ნახა ამ მდგომარეობაში. თავს იკლავს ტირილით, ნახეთ, გოგო რა დღეშია. სხვა არავინ იყო სახლში. რომ ნახა, ბავშვი იყო გაგუდული, ჩაბრუნებული ლოგინში. პოლიციაში თვითონ დარეკა, – აცხადებს ერთ-ერთი მეზობელი

3 თვის ბავშვის დაღუპვის ფაქტზე პოლიციამ გამოძიება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით დაიწყო.



# ვაშლიჯვარში ავტომობილი აფეთქდა

თბილისში, ვაშლიჯვარში ავტომობილი აფეთქდა – შემთხვევა ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მოხდა.

თვითმხილველების თქმით, გაჩერებულ მანქანას ცეცხლი მოულოდნელად გაუჩნდა, რის გამოც 3 ავტომობილი დაზიანდა.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

უცნობია ავტომობილის აფეთქების მიზეზი.

ხანძარი ადგილზე მისულმა მეხანძრე-მაშველებმა მალევე ჩააქრეს.

# ირანი ბირთვულ შეთანხმებას 10 დღეში დაარღვევს



ირანული მხარის ინფორმაციით, ქვეყანა ბირთვული შეთანხმებით გათვალისწინებულ შეზღუდვას 10 დღეში დაარღვევს.

ოფიციალური თეირანი 27 ივნისისთვის გამდიდრებული ურანის მოპოვებაზე დაწესებულ ლიმიტს გადააჭარბებს.

ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა ჯერ კიდევ გასულ თვეს განაცხადეს, რომ 4-ჯერ გაზრდიან ნაკლებად გამდიდრებული ურანის წარმოებას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემოღებული სანქციების საპასუხოდ.

გამდიდრებული ურანი გამოიყენება რეაქტორის საწვავისთვის, თუმცა, ასევე ბირთვული იარაღის დასამზადებლად.

ევროპის ქვეყნებმა ოფიციალური თეირანი გააფრთხილეს, რომ ისინი იძულებული გახდებიან, ირანს ახლიდან დაუწესონ სანქციები იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ბირთვულ შეთანხმებას დაარღვევს.

# ტრამპი „ვაშინგტონ პოსტისა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსის“ წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ორ წამყვან ამერიკულ გაზეთს, „ვაშინგტონ პოსტსა“ და „ნიუ-იოკ ტაიმსს“ მატყუარები უწოდა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ორივე გაზეთი იმწამსვე გაკოტრდება, როგორც კი ტრამპი თეთრ სახლს დატოვებს.

– უნდა ჩატარდეს გამოკითხვა, ვინ უფრო ცრუპენტელაა, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თუ „ვაშინგტონ პოსტი“ – თქვა ტრამპმა.



აშშ-ის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ორივე გაზეთი მის ადმინისტრაციაზე ტყუილებს ბეჭდავს. ამან განაპირობა პრეზიდენტის გალიზიანებაც.

# მამაკაცმა ციხეში 50 წლის გატარების შემდეგ უკან დაბრუნება გადაწყვიტა

აშშ-ში 81 წლის დამნაშავემ, რომელმაც ციხეში 50 წელი გაატარა, გათავისუფლების შემდეგ მორიგი დანაშაული ჩაიდინა.

რობერტ ფრენსის კრებსი პატიმრობიდან 2017 წლის ბოლოს გათავისუფლდა. ექვსი თვის შემდეგ ის ადგილობრივ საკრედიტო კოოპერატივში მივიდა და პნევმატური პისტოლეტის მუქარით ფული მოითხოვა. ნაღდი ფულით 8,4 ათასი დოლარის მიღების შემდეგ ის დაბრუნდა სასტუმროში, სადაც დააკავეს კიდეც.

კრებსის აღიარებით, ის მიზანდასახულად მიდიოდა საქმეზე, რათა ისევ გისოსებს მიღმა აღმოჩენილიყო, ვინაიდან სოციალური შემწეობა, 800 დოლარი, რომელსაც ის იღებდა, ცხოვრებისთვის არ ჰყოფნიდა. კრებსის ადვოკატები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მათ კლიენტს ალცჰეიმერის დაავადების სიმპტომები დაუდასტურონ. ნეიროფსიქოლოგმა მისი გასინჯვის შემდეგ დაასკვნა, რომ კრებსს სასამართლოს წინაშე წარდგომა არ შეუძლია, თუმცა სხვა ორმა სპეციალისტმა მისი დასკვნა უარყო. რობერტ ფრენსის კრებსმა სამი წელი პატიმრობაში 1966 წელს ილინოისის ბანკიდან 72 ათასი დოლარის გატაცებისთვის გაატარა, 30 წელზე მეტი კი – 1981 წელს ფლორიდის ბანკის გაძარცვისთვის. გარდა ამისა, მან არიზონის შტატში ჩადენილი ძარცვისთვის კიდევ 17 წელი გაატარა საპატიმროში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# მაია სანდუ: „პლახოტნიუკს მოლდოვის გაძარცვა არ შერჩება“



მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება პარლამენტის დაშლის შესახებ. პავლე ფილიპის მთავრობამ გადადგომის შესახებ გამოაცხადა, მაია სანდუს კაბინეტი კი მუშაობას უკვე მთავრობის სახლში შეუდგა.

რამდენიმე დღის წინ ოლიგარქი პლახოტნიუკი ქვეყნიდან გაიქცა. რუსეთში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მოლდოვურმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ პლახოტნიუკი ოდესაში გაიქცა და იქიდან ლონდონში გაფრინდა. ამავე დროს, პრემიერი მაია სანდუ აცხადებს, რომ პლახოტნიუკი ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აუცილებლად აგებს.

– პლახოტნიუკმა მთელი მოლდოვა გაძარცვა! მას ეს არ შერჩება, – აცხადებს სანდუ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ მოხდა, რომ პროდასავლურმა პარტიამ და პრორუსულმა სოციალისტებმა კოალიცია შექმნეს, სანდუმ მიუგო:

– ახლა მთავარია ეკონომიკა და არა პოლიტიკა! დოდონი კი ერთადერთი ფიგურაა, ვისაც რუსული ტანკების შეჩერება შეუძლია, – თქვა სანდუმ.

მოლდოვის პრემიერმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამჟამინდელი საერთაშორისო ვითრება მოლდოვის არც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და არც დეოკუპაციას ხელს არ უწყობს. დღეს დემოკრატიული რეფორმების დროა, ანუ უნდა მოხდეს როგორც რუსული, ასევე დასავლური ინტერესების დაბალანსება. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს დეოლიგარქიზაციაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, რეალური სახელმწიფო სტრუქტურების მშენებლობაზე.

– სხვაგვარად თანამედროვე სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ, – ამბობს სანდუ.

# შტაინმაიერი: „ევროპას რუსეთთან ძველებური ურთიერთობები ვეღარ ექნება“



გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა ფინეთში ვიზიტის დროს სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ კონფლიქტი უკრაინის აღმოსავლეთში და ყირიმის ანექსია დიდ გავლენას ახდენს ევროპისა და რუსეთის ურთიერთობებზე. მისივე თქმით, ევროპის სახელმწიფოებს ნაკლებად ახლო ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ რუსეთთან, არ გამართლდა იმედი რუსეთთან ყოვლისმომცველი პარტნიორობისა და მზარდი ინტეგრაციის თაობაზე და ახლა ორივე მხარე იმედგაცრუებას განიცდის.

შტაინმაიერის აზრით, შეუძლებელია გაჩუმება იმაზეც, რომ რუსეთში სულ უფრო მცირდება სივრცე სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი გამოხატვისათვის, თუმცა მან ისიც დასძინა, რომ „რუსეთის შესაცვლელად ჩვენი საკუთარი შესაძლებლობები შეზღუდულია“ და ეს „უნდა გავაცნობიეროთ უფრო ფუნქციონალური პარტნიორობისათვის“.

# ჯონ ბოლტონი: „რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების ნორმალიზება უკრაინაზე გადის“



აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი ტრამპის სპეცწარმომადგენელს დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში კურტ ვოლკერს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები იყო.

– ახალი პრეზიდენტის ვლადიმერ ზელენსკის არჩევის შემდეგ გაჩნდა რეალური წანამძღვრები იმისა, რომ დონბასში ომი შეჩერდეს და მშვიდობამ დაისადგუროს, – თქვა ვოლკერმა.

ბოლტონი ამას დაეთანხმა. ჟურალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ახლა ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული.

– აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზება უკრაინაზე გადის. მანამ, სანამ დონბასში მშვიდობა არ დაისადგურებს, ჩვენსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, – თქვა ბოლტონმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველოს დელეგაცია ევროპულ თამაშებზე პრეზიდენტმა გააცილა

ბელარუსის დედაქალაქი მინსკი 21-30 ივნისს მეორე ევროპულ თამაშებს უმასპინძლებს. სპორტის 15 სახეობის 23 დისციპლინაში 50 ქვეყნის 4.000-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

მეორე ევროპულ თამაშებზე იასპარეზებს საქართველოს 61 სპორტსმენი სპორტის 10 სახეობაში ჭიდაობა (ბერძნულ-რომაული, თავისუფალი), ძიუდო, ტყვიის სროლა, ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული, ბატუტზე ხტომა), კარატე, კანოე, მშვილდოსნობა, კრივი, ველოსპორტი, სამბო.

მინსკში გამგზავრებამდე, საქართველოს პრეზიდენტმა მეორე ევროპული თამაშების მონაწილე ქართველ სპორტსმენებს უმასპინძლა და მნიშვნელოვან ასპარეზობებში წარმატება უსურვა. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მინსკში მე-2 ევროპული თამაშების გახსნის ცერემონიას თავადაც დაესწრება და ქართველ სპორტსმენებს ადგილზე უგულშემატკივრებს.

სალომე ზურაბიშვილი:

– თქვენ წარმატებულ დარგს – ქართულ სპორტს წარმოადგენთ. საქართველო დღეს მსოფლიოში ცნობილია თავისი სპორტსმენებით, ეს იმიტომ, რომ თქვენ საქართველოს ბევრი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩამოუტანეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ მინსკშიც გვასახელებთ და ამის სანახავად მეც ვიქნები თქვენთან ერთად და მხარს დაგიჭერთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ იყოთ ძალიან წარმატებულები. სპორტი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სპორტის სხვადასხვა სახეობები. სპორტი ქვეყნის ჯანსაღი სახეა და ეს პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც ძალიან სჭირდება ცნობადი იყოს, დადებითი ცნობადობა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს კი თქვენი დამსახურებაა და ამისათვის, როგორც საქართველოს პრეზიდენტი,



მადლობას გიხდით. მე და მთელი საქართველო ძალიან ამაყი ვართ თქვენი წარმატებით. გისურვებთ დიდ წარმატებებს მინსკში და ვიცი, რომ თქვენ ამას შეძლებთ!

თბილისის ოლიმპიურ პარკში გაიმართა მე-2 ევროპულ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენთა გაცილებისა და ფიცის დადების ცერემონია, რომელსაც უძღვებოდა სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

გაცილების ცერემონიას ესწრებოდნენ თამაშების ლიცენზიანტი სპორტსმენები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, მსაჯები, სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენები, სპორტის გულშემატკივრები, ჟურნალისტები.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და სპორტსმენებს მინსკში წარმატებული ასპარეზობა უსურვეს სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. ცერემონიაზე ოლიმპიური გუნდის სახელით ფიცი დადო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა, 8-გზის ოლიმპიელმა ნინო სალუქვაძემ.

საქართველოდან მინსკში გაემგზავრება 122-კაციანი დელეგაცია (სპორტსმენები, მწვრთნელები, ადმინისტრაციული და სამედიცინო პერსონალი, მსაჯები, ჟურნალისტები, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები, სეოკ-ის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელები), რომელსაც უხელმძღვანელებს სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი. ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი იქნება სეოკ-ის სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია.

თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიაზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშე იქნება მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში გურამ თუშიშვილი.

# საქართველო პირველია, ფინალში კუბას მოვუგეთ

**საქართველო-კუბა 31:21**
**თბილისი. სპორტის სასახლე**

**საქართველო:** თევზაძე, ცინცაძე; ცხოვრებაძე (8), რუსტამოვი (6), არსენაშვილი (6), ჩიქოვანი (3), დიხამინჯია (3), გოგოლაძე (2), კბილაშვილი (1), ორჯონიკიძე (1), კალანდაძე (1), მიქავა, მერკვილაძე, იმნაძე

**კუბა:** სუარესი, მარტინესი; ტოლედანო (5), ტაბოადა (5), როდრიგესი (4), გარსია (3), ხესუსი (2), ლაფორტანი (1), ვალიენტე (1), კორდიესი, ალმეიდა, ფაუსტო, ბასულტო,

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ჩემპიონატის ფინალში 31:21 დაამარცხა კუბა და ტურნირის გამარჯვებული 7-დან 7 მოგებით გახდა, ამასთან ერთად კი ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის, ფლეი ოფის საგზური მოიპოვა.

თამაში იმით დაიწყო, რომ კუბელებმა პერსონალურად, მოედნის ცენტრში აიყვანეს ირაკლი ჩიქოვანი. ჩვენი მწვრთნელების პასუხი მომენტალური იყო – მოხსნეს ხაზის მოთამაშე არსენაშვილი და გამთამაშებლად დაამატეს კბილაშვილი. ამგვარად, ჩვენი შეტევისას თამაში ხუთი-ხუთზე მიდიოდა, რის შემდეგაც კუბელთა დაცვის ფრთები მოშიშვლებული იყო. ამით ისარგებლეს გოგოლაძემ (2 გოლი) და რუსტამოვმა, რომელმაც 4 დარტყმიდან 3 გოლი გაუტანა კუბელთა მეკარე სუარესს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მესამე – ჩვენმა მარცხენა გარემარბმა ინდივიდუალურად მოატყუა მეურვე, მეკარეს ბურთი დაუბზრიალა და 3 ბურთით დავწინაურდით – 9:6.

ჩვენი გუნდი დაცვაში კარგად იდგა და შოთა თევზაძეს თამაშს უადვილებდა, მაგრამ ზუსტად აქ კრიზისი დაგვეწყო და კუბამ ზედიზედ 4-ჯერ გაგვიტანა – 9:10. თამაში თავი თავზე აილო გიორგი ცხოვრებაძემ, რომელმაც 2 ინდივიდუალური გარღვევით დაგვაწინაურა, შემდეგ კი ძალიან კარგად შემოვიდა გიორგი დიხამინჯია – გოლი, მოპოვებული ორწუთიანი და 7-მეტრიანი.

პირველ ტაიმში ბოლო სიტყვა ჩიქოვანმა თქვა, რომელიც შეტევაში მხოლოდ რიცხვობრივი მეტობის ან სწრაფი გადატანის დროს მონაწილეობდა, ერთი გოლი თავად გატანა, ბოლო წამებზე კი კბილაშვილს გაატანინა – 14:10.

მეორე ნახევარი ჩიქოვანმა მარცხენა ინსაიდად დაიწყო, მის მეურვეობაზე კუბელებმა უარი თქვეს, მაქსიმოვიჩი დროდადრო თამამად ენდობოდა 17 წლის კალანდაძესაც, ორჯონიკიძეს კი ძირითადად დაცვაში უწევდა თამაში. დიხამინჯიამ, არსენაშვილმა და ჩიქოვანმა სხვაობა გაზარდეს – 17:11, თევზაძემ 2 7-მეტრიანი მოიგერია, რუსტამოვმა ზედიზედ ორჯერ გაიტანა, ცხოვრებაძემ კი ორჯერ გააძევებინა მეტოქე და 19:12 დავწინაურდით.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორჯერ წავიდა ორწუთიანში დიხამინჯია, კუბამ სხვაობა შეამცირა და მეტსაც იზამდა, ორჯერ ცარიელ კარში რომ არ აეცილებინა, თევზაძეს კი პირისპირ გასული მეტოქისთვის არ ეჯობნა.

20:15 – ეს ანგარიში კარგა ხანს ენთო ტაბლოზე, სანამ სწრაფ გარღვევაში არ გაიტანა რუსტამოვმა, შემდეგ კი ორჯერ ცხოვრებაძე გაიქცა – 23:16.

52-ე წუთზე კალანდაძემ მეორედ მიაწოდა საგოლე პასი არსენაშვილს, სხვაობა 8 ბურთი გახდა და ამით ყველაფერი გაირკვა. საბოლოოდ – 31:21.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი 36 დარტყმიდან 18 მოგერიებით შოთა თევზაძე გახდა.

ტურნირის საუკეთესო მარცხენა ინსაიდი გახდა თეიმურაზ ორჯონიკიძე, ხოლო გიორგი ცხოვრებაძემ 2 ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა: საუკეთესო მარჯვენა შუამარბისა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის.

ტურნირის სიმბოლური ნაკრები: მაგნოლ სუარესი (კუბა); ჰუან პეიძი (ჩინეთი), თეიმურაზ ორჯონიკიძე (საქართველო), კრისტიან ვასილევი (ბულგარეთი), გიორგი ცხოვრებაძე (საქართველო), სვეტლინ დიმიტროვი (ბულგარეთი), ედუარდო ვალიენტე (კუბა).

ბომბარდირი სებასტიან ედგარი (დიდი ბრიტანეთი) – 66 გოლი.

რაც შეეხება ევრო 2022 კვალიფიკაციას: ფლეი ოფში პირველის შესარჩევი რაუნდიდან გავიდნენ ლუქსემბურგი და კვიპროსი, მათ კი დაემატა საქართველო. ეს 3 გუნდი წილისყრით დაუწყვილდება ევრო 2022 მთავარი საკვალიფიკაციო რაუნდში უარესი შედეგის მქონე 3 გუნდს. საკვალიფიკაციო ტურნირი უკვე დასრულდა ამ სამეულის ვინაობაც გაირკვა – ესტონეთი, ფინეთი და ბელგია. ფლეი ოფი 2020 წლის აპრილში გაიმართება და 3 გამარჯვებული მიიღებს ევრო 2022-ის მთავარი შესარჩევი რაუნდის საგზურს.

იქამდე, 2019 წლის შემოდგომაზე, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2021 წლის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

# მეორე წრის ბოლო მატჩში დინამომ ვიტ ჯორჯია დაამარცხა

**დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია 2:1**
**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ივანისენია (14), 1:1 მოსიაშვილი (42), 2:1 შენგელია (90)

**დინამო:** პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, იაშვილი, შულაია (აზაროვი 59), პაპავა (კუხიანიძე 81), ივანისენია (აბუაშვილი 64), შენგელია, ნინუა, კუტალია

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, ქისიევი, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი, ზარიძე (კურდღელაშვილი 70), ვასაძე, კაკაშვილი, მუსელიანი, მუჯირი



მასპინძლებმა სათამაშო უპირატესობა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს და აქედან გამომდინარე ივარაუდებოდა, რომ დინამოელთა უპირატესობა მთელი დაპირისპირების განმავლობაში გაგრძელდებოდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. თითქმის განახევრებულმა ვიტ ჯორჯიამ მეტოქეს ბრძოლა გამოუცხადა.

საწყის 10 წუთში მასპინძლებმა რამდენჯერმე მოაწოდეს კუთხური მეტოქის კართან. პირველი საგოლე მომენტი კი, დინამოელებმა მე-13 წუთზე შექმნეს. შენგელიას სწრაფი გარღვევა ლევან კუტალიამ ძლიერი დარტყმით დაასრულა, ბურთი კი მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. ჩაწოდებულ კუთხურს კი დმიტრო ივანისენიამ თავი შეაგება და უკრაინელმა ნახევარმცველმა ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ თამაშის რიტმი ოდნავ დაეცა. ვიტ ჯორჯიამ მეტოქეს თანაბარი თამაში შესთავაზა და სახიფათო მომენტებიც მრავლად შექმნა. მე-40 წუთზე მასპინძლები გაშვებულ გოლს გადაურჩნენ – ცოტნე მოსიაშვილის ახლო მანძილიდან დარტყმული ოდნავ აცდა კარს. ორიოდე წუთში მოსიაშვილმა მაინც გაიტანა. ვეტერინართა ნახევარმცველმა შორიდან დაარტყა, პერალესი შეცდა და გოლი... შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმი დინამოელთა შტევებით განახლდა, თუმცა სახიფათო მომენტამდე საქმე არ მისულა. შეხვედრის 64-ე წუთზე მასპინძელთა შემადგენლობაში ახალგაზრდა გიორგი აბუაშვილის დებიუტი შედგა, მან დმიტრო ივანისენია შეცვალა. აბუაშვილმა რამდენჯერმე გააშწვავა თამაში, 83-ე წუთზე კი გატანაც შეეძლო, მაგრამ მცველმა დაუფარა, დამატებაზე შენგელიას არ გამოუვიდა დარტყმა. ორიოდე წუთში სტუმართა კარი ნიკა ნინუას დარტყმულის შემდეგ ძელმა იხსნა.

საბოლოოდ დინამოს შეტევებმა შედეგი მატჩის ბოლო წუთზე გამოიღო – ლევან შენგელიამ ლამაზი დარტყმით დინამოს მიჯრით მეოთხე გამარჯვება მოუტანა...

ამ მატჩით დასრულდა ეროვნული ჩემპიონატის მე-2 წრე, რის შემდეგაც ეროვნულმა ლიგამ წრის საუკეთესო თერთმეტეული, ფეხბურთელი და მწვრთნელი გამოარჩია.

საუკეთესო ფეხბურთელად ბუდუ ზივზივაძე დასახელდა. ქუთაისის ტორპედოს თავდამსხმელმა მეორე წრეში ჩატარებულ 9 მატჩში მეტოქის კარი 8-ჯერ აილო.

საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო ლოკომოტივის დამრიგებელმა ლევან კორღალიძემ მიიღო, რომელიც წრის დასაწყისში დაინიშნა „რკინიგზელთა“ მწვრთნელად და მისი ხელმძღვანელობით კლუბმა მე-2 წრეში ყველაზე მეტი (19) ქულა მოიპოვა და ყველაზე ნაკლები (5) გოლი გაუშვა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 მატჩია ლოკომოტივს საკუთარ კარში გოლი არ მიუღია.

წრის საუკეთესო თერთმეტეული კი ასე გამოიყურება:

მეკარე: დემეტრე ბულისკერია (ლოკომოტივი);

მცველები: ალექსანდრე გურეშიძე, დავით უბილავა (ორივე ლოკომოტივი), გაგი მარგველაშვილი, ლუკა ლაკვეხელიანი (ორივე საბურთალო);

ნახევარმცველები: დავით სამურკასოვი (ლოკომოტივი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), ლაშა შინდაგორიძე (საბურთალო), ზაზა ციცქიშვილი (რუსთავი);

თავდამსხმელები: ნიკოლოზ საბანაძე (დინამო ბთ), ბუდუ ზივზივაძე (ტორპედო);

ბომბარდირთა დავას კი საბურთალოელი შინდაგორიძე და ტორპედოელი ზუვზივაძე 10-10 გატანილი გოლით ლიდერობენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 18 | 12 | 2 | 4 | 36-23 | 38 |
| 2.დინამო (ბთ) | 18 | 12 | 1 | 5 | 31-18 | 37 |
| 3.დინამო (თბ) | 18 | 10 | 2 | 6 | 33-22 | 32 |
| 4.ტორპედო | 18 | 9 | 3 | 6 | 33-29 | 30 |
| 5.ლოკომოტივი | 18 | 8 | 1 | 9 | 23-22 | 25 |
| 6.ჩიხურა | 18 | 5 | 8 | 5 | 24-20 | 23 |
| 7.სიონი | 18 | 6 | 4 | 8 | 23-40 | 22 |
| 8.დილა | 18 | 5 | 4 | 9 | 19-22 | 19 |
| 9.რუსთავი | 18 | 3 | 5 | 10 | 20-33 | 14 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 18 | 4 | 2 | 12 | 11-24 | 8 |

შენიშვნა: ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სარი იუვენტუსს გაწვრთნის, ნეაპოლელებმა აბრა ჩამოხსნეს



იტალიელი სპეციალისტი მაურისიო სარი აპენინებზე ბრუნდება. 60 წლის სპეციალისტი მომავალი სეზონიდან ტურინის იუვენტუსს გაწვრთნის. ბიანკონერის ახალმა თავკაცმა 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ტურინულ სუპერკლუბს 2022 წლის 30 ივნისამდე უხელმძღვანელებს. ტურინელები სარის კონტრაქტის გამოსასყიდად ჩელსის 6 მილიონ ევროს გადაუხდიან.

სარიმ მასიმილიანო ალეგრი შეცვალა, რომელმაც იუვენტუსში 5 წელი იმუშავა და ამ დროის მანძილზე 5-ჯერ მოიგო „სკუდეტო“ და გუნდი ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

სარიმ ჩელსი გასული წლის ზაფხულში ჩაიბარა და ამ თანამდებობაზე თანამემამულე ანტონიო კონტე შეცვალა. იტალიელმა სპეციალისტმა ჩელსისთან ერთად პრემიერლიგა მე-3 ადგილზე დაასრულა და ლიგის თასის ფინალში გააღწია, სადაც პენალტების სერიაში მანჩესტერ სიტისთან დამარცხდა. იტალიელი უტიტულოდ მაინც არ დარჩა და ლონდონელებს ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირი – ევროპალიგა მოაგებინა. ჩელსიმდე სარი ნაპოლის მთავარი მწვრთნელი იყო. სწორედ ნეაპოლელი ტიფოზები გაალიზიანა მისმა იუვენტუსში გადასვლამ. გულშემატკივრები იმდენად აღშფოთებულნი არიან, რომ ნეაპოლში სახლის კედელზე დაფა ჩამოხსნეს, რომელზეც ეწერა:

– აქ დაიბადა კომენდანტე მაურიციო სარი.

## შედეგები

**კოპა ამერიკა**

პარაგვაი-ყატარი ........ 2:2
ურუგვაი-ეკვადორი ........ 4:0

**კონკაკაფი**

ჰაიტი-ბერმუდის კუნძ. ........ 2:1
კოსტა რიკა-ნიკარაგუა ........ 4:0

**ამხანაგური მატჩები**

მაროკო-ზამბია ........ 2:3
სენეგალი-ნიგერია ........ 1:0
ალჟირი-მალი ........ 3:2
ეგვიპტე-გვინეა ........ 3:1

**ევროპის ჩემპიონატი (21)**

პოლონეთი-ბელგია ........ 3:2
იტალია-ესპანეთი ........ 3:1

**მსოფლიო ჩემპიონატი**
**ქალები**

შვედეთი-ტაილანდი ........ 5:1
აშშ-ჩილე ........ 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო გლიმდტი-სტრომგოდსეტი ... 2:0
ლილესტრიომი-ვიკინგი ........ 0:2
მიოლდე-რანჰეიმი ........ 2:0
მიონდალენი-კრისტიანსუნდი ........ 1:1
სარპსბორგი-ოდ გრელანდი ........ 2:0
რუსენბორგი-ვალერენგა ........ 3:0

# 20-წლამდე ნაკრებმა 2 წლით უმცროსებთან წააგო



სლოვენიაში, შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მეორე სპარინგ მატჩი გამართა.

ამჯერად ქართველები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, თუმცა მატჩის ბოლო წამზე 3-ქულიანი მიიღეს და მარცხი განიცადეს. შეგახსენებთ, რომ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა 16 ივნისს სლოვენიელ თანატოლებთან 7 ქულით წააგო.

არადა, ჩვენი მეტოქე სლოვენიის 18-წლამდელთა გუნდი გახლდათ, 2 წლით პატარა გუნდი, რომელიც თავის ასაკში ევრობასკეტის ა დივიზიონის წევრია. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდი 3 ქულით აგებდა, როცა საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე კოკა ფიფიამ სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. სლოვენიელებმა შეტევა წამოიწყეს და როგორც იტყვიან, გადაგდებული ბურთი სირენის თანხლებით ჩააგდეს და – 77:74 მოიგეს. მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა პოდჩეტრტეკის დარბაზში დილის ტრადიციული, სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა. სლოვენიელები კი მეტი სერიოზულობით მიუდგნენ სპარინგს და მოსაგებად ითამაშეს. მილოშ გლიგორიევიჩის გუნდში 19 ქულით და 13 მოხსნით საუკეთესო იყო ზურა ჟღენტი. პირველი მატჩის მსგავსად, 13 ქულა მოიპოვა ნიკა მეცხვარიშვილმა, 11 ქულა დაგროვდა რატი ანდრონიკაშვილის ანგარიშზე, ხოლო აკაკი ფიფიამ შეხვედრა 10 ქულით დაასრულა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 2 დღეში უკრაინაში გადაინაცვლებს და კიევში 3 ამხანაგურ მატჩს გამართავს: უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებთან. სლოვაკეთის 20-წლამდელთა ნაკრებთან, ხოლო ბოლო უკრაინელ თანატოლებს შეხვდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უცნობი ქალი მამაკაცს გამილიონერებაში დაეხმარა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ პორტლენდში მამაკაცმა ლატარიაში ჯეკპოტი რიგში მდგომი უცნობი ქალის სიტყვების წყალობით მოხსნა.

68 წლის გრეგორი გილფორდმა, სოფელ მალიკენის მკვიდრმა, მეგა მილიონის ლატარიის ბილეთი ქალაქ პორტლენდის მაღაზიაში შეიძინა და მისი შემოწმება არ დაუწყია. მეორე დღეს მამაკაცი ქალაქში დაბრუნდა და ერთ-ერთი მაღაზიის ტუალეტით ისარგებლა. იქ მან გაიგონა, თუ როგორ უთხრა რიგში მდგომმა ქალმა ვიღაცას, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთ მაღაზიაში ლატარიის მომგებიანი ბილეთი გაიყიდა.

– როგორც კი მან ეს ფრაზა წარმოთქვა, თავში აზრები მომეძალა. უკვე მაღაზიიდან გამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ იმისთვის შევყოვნდი, რომ ჩემი ლატარიის ბილეთი შემემოწმებინა. გაოგნებული დავრჩი, როდესაც მივხვდი, რომ ხელში მეჭირა ბილეთი, რომელსაც მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული, – განაცხადა გილფორდმა.




ამერიკელი მოგებული ფულით კოლორადოში გამგზავრებას გეგმავს, ასევე აპირებს, საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს მიხედოს.

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

# იაპონელმა შავ საზამთროში რეკორდული თანხა გადაიხადა



შავი საზამთრო იაპონიის ჰოკაიდოს პრეფექტურის ქალაქ ასახიკავადან აუქციონზე რეკორდულ ფასად გაიყიდა.

„დენსუკეს“ ჯიშის საზამთროების სეზონის პირველი აუქციონი პარასკევს, 14 ივნისს გაიმართა. ამ ჯიშის მთავარ განსაკუთრებულობას მისი მუქი, თითქმის შავი შეფერილობა წარმოადგენს.

სუპერმარკეტის მფლობელმა კეიტი სუძუკიმ 11-კილოგრამიან ნაყოფში 750 ათასი იენი გადაიხადა. ამით მან 2008 წლის რეკორდი მოხსნა, როდესაც საზამთროში 650 ათასი იენი გადაიხადეს.

სუძუკის აღიარებით, აუქციონში მონაწილეობა მისთვის დიდი პატივი იყო და ვაჭრობაში გამარჯვება ბიზნესში წარმატების კარგი ნიშანია.

სუპერმარკეტის მფლობელის მიერ შეძენილი საზამთრო თითქმის იდეალური ოვალური ფორმისაა. ამ ნაყოფს შიგნით თითქმის არ აქვს კურკები, ხოლო მისი რბილობი ღია წითელი ფერისაა.

# თაღლითი, რომელიც ჯორჯ კლუნის სახელით სარგებლობდა, დააპატიმრეს

იტალიელი, რომელიც ჰოლივუდის მსახიობის ჯორჯ კლუნის სახელით მეწარმეებს არწმუნებდა თანხა ფიქტიურ მოდურ ბრენდში დაებანდებინათ, რამდენიმეწლიანი დევნის შემდეგ დააპატიმრეს. 2010 წელს ჯორჯ კლუნმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში 58 წლის ფრანჩესკო გალდელისა და მისი თანამზრახველის 45 წლის ვანიუ გოფის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ეს პიროვნებები მისი სახელის გამოყენებით, მოტყუებით ითვისებდნენ თანხებს. დაპატიმრების შიშით, თაღლითები ქვეყნიდან გაიქცნენ და რამდენიმე წელი ტაილანდში იმალებოდნენ. იქ ისინი ფულს ყალბი როლექსის საათების ონლაინ-გაყიდვებით შოულობდნენ.

ინტერპოლმა მათზე ძებნა 2013 წელს გამოაცხადა. ერთი წლის შემდეგ გალდელი დააპატიმრეს, მაგრამ სასამართლოს დროს მან გაქცევა მოახერხა. კვირას, 16 ივნისს ტაილანდის დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია იტალიელების ისევ დაკავების თაობაზე. ისინი ტაილანდისა და იტალიის ერთობლივი ოპერაციის დროს დააკავეს, ქალაქ პატაიას გარეუბანში. დაკითხვის დროს გალდელიმ დანაშაული აღიარა. იტალიის ხელისუფლებისთვის გადაცემის დაწყებამდე, მათ ვიზების ვადის გადაცილების ბრალდებას წაუყენებენ.




# მამაკაცმა ფეხის თითები კოქტეილისთვის მსხვერპლად გაიღო



ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბოლტონის მკვიდრმა თავისი ფეხის ორი თითი კოქტეილ „მჟავე თითისთვის“ მსხვერპლად გაიღო და რომელსაც კანადის ქალაქ დოუსონის სასტუმრო „დაუნთაუნის“ ბარში ამზადებენ.

ნიკ გრიფიტსმა მარცხენა ფეხის სამი თითი 2018 წელს მოყინვის შედეგად დაკარგა, როდესაც ექსტრემალურ ზამთრის მარათონში იღებდა მონაწილეობას. 47 წლის მამაკაცს ლეგენდარული სასმელის შესახებ სმენოდა, რომელიც ამპუტირებული და დაკონსერვებული ფეხის თითისგან მზადდება და გადაწყვიტა მასში საკუთარი წვლილიც შეეტანა. მან ექიმს სთხოვა, რომ ამპუტაციის შემდეგ თითები სპირტში შეენახა. გრიფიტსმა თითები ფოსტით გააგზავნა. 11 ივნისს ამანათი „დაუნთაუნში“ მიიტანეს.

– იმედი მაქვს, რომ ამ ცუდმა ბიჭებმა თქვენამდე მშვიდობიანად ჩამოაღწიეს. ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ მათი გამოგზავნა გამიჭიანურდა, – დაწერა მან წერილში, რომელიც ამანათს გააყოლა.

ბარის თანამშრომლებს დაახლოებით ექვსი კვირა დასჭირდებათ ფეხის თითების კოქტეილში გამოსაყენებლად მუმიფიცირებისთვის. გრიფიტსის ფეხის ცერა თითი მე-16 თითი გახდება, რომელსაც კოქტეილებში გამოიყენებენ. ბარმენის თქმით, ამ დროისთვის მათ მარაგში ოთხი-ხუთი თითი აქვთ. სასტუმრო „დაუნთაუნის“ წარმომადგენლის თქმით, გულუხვი დონორის მისი საკუთარი თითის კოქტეილით გამასპინძლებას მიმდინარე წლის ზაფხულშივე შეძლებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 18 ივნისისთვის



**ვერძი** – ემოციურად მძლავრი და დაძაბული დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. დღის პირველ ნახევარში რეკომენდებულია დასვენება, მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოწესრიგება. **კურო** – შინაგან თავისუფლებას ახალი ცოდნის მიღება და ინფორმაციის მოძიება უფრო გაამყარებს. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად იცით. **ტყუპები** – ამბიციურობა, ამპარტავნობა კონფლიქტურ სიტუაციებამდე მიგიყვანთ. საღამოს, სავარაუდოდ, სტუმრად წახვალთ. **კირჩხიბი** – შექმნილ პრობლემას ფილოსოფიურად მიუდექით. დღეს მხოლოდ თქვენთვის კარგად ნაცნობი საქმით დაკავდით. **ლომი** – თუ სამოგზაუროდ წასვლა დააპირეთ, გზაზე დიდი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ. სხვის აზრს იგნორირებას ნუ გაუწევთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. კომერციულ საქმიანობაში აქტიურობას არ გირჩევთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. უენერგიოდ ხართ. ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული და მომთხოვნი ირგვლივ მყოფების მიმართ. **ღრიანკალი** – კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ბუნებაში სულის მოსათქმელად. შესაძლოა სასიამოვნო ახალი ამბავიც შეიტყოთ. **მშვილდოსანი** – შანსი გეძლევათ, წარმატება მოიპოვოთ, ამიტომ ყურადღებით იყავით. იღბლიანი პერიოდია ოჯახის შესაქმნელად, ასევე პაემნისა და ახალი ნაცნობობისათვის. **თხის რქა** – კარიერაზე საფიქრელად შეუფერებელი პერიოდია. ძველი საქმეები აუცილებლად უნდა დაამთავროთ. **მერწყული** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. ბედი გწყალობთ. დღის პირველ ნახევარში დაისვენეთ და საქმიანი ქაღალდები მოაწესრიგეთ. **თევზები** – ემოციურად მძლავრი და დაძაბული დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. დღის პირველ ნახევარში რეკომენდებულია დასვენება, ასევე, მნიშვნელოვანი დოკუმენტების წესრიგში მოყვანა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მძარცველის, ყაჩაღის ძველებური სახელწოდება; 2. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად; 3. ქალაქი იმერეთში; 4. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 5. უღელტეხილი კავკასიონზე; 7. ქართველი სუმოისტი; 11. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 12. ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული; 13. გემის, თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული დროით და პირობებით; 14. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 15. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 5. ბაზრის ძველებური სახელწოდება; 6. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 8. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 9. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 10. ძვლების ანთება; 11. ჯავახური პური; 13. სამეგრელოში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 16. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 18. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 20. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 21. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ლევერკუზენი; 7. სექტორი; 8. აზდაკი; 11. ჰენდელი; 12. ისარა; 13. კეტცალი; 17. ტაქომეტრი; 18. სეფარდები; 22. კოლიზეი; 23. სოლომონ; 24. კროსინგი; 25. პინგვინი.

**შვეულად:** 1. პეიზაჟი; 2. კროკუსი; 3. ანაქორეტი; 4. სტენდი; 5. გრიზლი; 9. სეული; 10. პროექტი; 14. კაბრიოლეტი; 15. პანკრეასი; 16. აფიქსი; 19. კრეკერი; 20. ხორუმი; 21. ელინგი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არღანი; 2. კასტეტი; 3. სერ; 4. ბალისტიკა; 5. კრუასანი; 6. ინრო; 7. აბაკი; 8. კაისა; 9. ნიკეა; 10. ორბი; 11. ლაბილური; 12. გრავიტაცია; 13. ალი; 14. კირიაკ; 15. კენოტაფი; 16. ტანგენსი; 17. რე; 18. კონგრეგაცია; 19. ანაგრამა; 20. გინეა; 21. განა; 22. სარფი; 23. კადენცია; 24. ინა; 25. აკურა; 26. კაა; 27. პენსია; 28. არ; 29. კანადა; 30. და. **სურათებზე:** კირსტენ დანსტი; შტეფან ეფენბერგი.

## დემნა გვასალია ახალ კოლექციას პარიზში წარადგენს




ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია თავის ახალ კოლექციას პარიზში წარადგენს.

20 ივნისს საფრანგეთის დედაქალაქში დემნას ბრენდი „ვეტმენტსი" უახლეს კოლექციას შესთავაზებს მოდის მოყვარულებს. დემნას კოლექციებთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ ის ნამდვილი ნოვატორია. სწორედ დემნამ შექმნა 90-იანი წლების ე.წ. „კლიონკის"-გან ჩექმები, ბოთლის ხუფებისგან – საყურეები, მადონას სერვიზისგან – სამაჯურები...

გასული წლის მსგავსად, დემნას ახალი კოლექციის ჩვენებაში ამ სეზონზეც მიიღებენ მონაწილეობას ქართველი მოდელები. ისინი პარიზში უკვე გაემგზავრნენ.

ვეტემენტსის ჩვენება სიყვარულის ქალაქში 20 ივნისს, პარიზის დროით საღამოს ცხრის ნახევარზეა დაგეგმილი.

## ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრის პარტერი დაშალა



რეჟისორმა ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრის პარტერი დაშალა და მის ადგილას სცენა ააგო.

ამის მიზეზი ახალი სპექტაკლია, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მაყურებელს 2 ივლისს შესთავაზებს.

ლევან წულაძე უილიამ შექსპირის „ჰამლეტზე" მუშაობს და მსახიობებთან ერთად ბოლო რეპეტიციებს აქტიურად გადის.

რეჟისორი მაყურებელს სიახლეებს შემოქმედებით გუნდთან ერთად შესთავაზებს. პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე, სრულიად გასაიდუმლოებულია სპექტაკლში მონაწილე მსახიობების ვინაობა, რადგან რეჟისორის აზრით, ეს მოლოდინს კიდევ უფრო გაამძაფრებს.

ლევან წულაძის „ჰამლეტით" მარჯანიშვილის თეატრი მორიგ სეზონს დახურავს.

## ბესიკ ნემსაძე: „იმპოტენტენტი ერი ვართ!"



მომღერალი ბესიკ ნემსაძე გაკვირვებულია, რატომ არ აპროტესტებენ ადამიანები 300 ლარიან ხელფასებს და რატომ მართავენ არაფრისმომცემ აქციებს:

– ღამის კლუბის დაშლაზე რო გამოხვედით და ტვინი წაიღეთ ეხლაც რომ არაფრის მომცემ აქციებს ატარებთ იმიტომ, რომ ეს ხალხი ოდითგანვე იყო და იქნებიან ასეთები, რატო მაშინ არ გამოდიხართ და არ აპროტესტებთ, საშუალო ხელფასი 300 ლარი რომაა და ხალხს პურის ფულიც არ აქვს?! რატო მაშინ არ ატარებთ აქციებს, ვიღაც ოკუპანტის ხუილოს მხარდამჭერი აქციებს რომ გვიწყობს ქალაქებში?! რატომ მაშინ არ ატარებთ აქციებს, როცა საკუთარი შვილები მშივრები სხედან სახლში?!

გადავიქეცით არაფრის მაქნის ერად, საზოგადოება კი არა, ბრბო ვართ და მეც თქვენთან ერთად ამ ბრბოში შევდივარ, იმპოტენტენტი ერი ვართ, არ ვიცით რეალურად რა არის ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა.

ასეთ ბრბოს არ გვაქვს მომავალი.

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ პროფესორ მაია ჭანტურიას დედის

**ნუნუ ქარდავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სოფო ბათილაშვილი უკვე დედობაზე ფიქრობს



მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის" პირველი სეზონის გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი მომავალ შვილზე ფიქრობს:

– თუ ოდესმე შვილი მეყოლება და ეს შვილი 8 წლის ასაკში პატრიოტულ ლექსებს წაიკითხავს ალტკინებული მიმიკა-ჟესტიკულაციებით, ჩავთვლი, რომ ცუდი მშობელი ვარ.

რა იცის ბავშვმა სამშობლო და ხანჯლის ტარი, რატომ ვუსპობთ ბავშვობას, ხან კიდევ, ამ სამგლოვიარო სიმღერებს რატომ ვამღერებთ, ან გაზეთი არა გვაქვს, დალოცვილებო, ან იუთუბი?!

სამშობლო სხვანაირადაც შეუყვარდება, თავისით საპირფარეშოში მოთავება ისწავლოს ბავშვმა ჯერ.

ამ დილაადრიან, თან ჩემს დაბადების დღეზე რომ ამ აზრებს გიამბობთ, შავ-ბნელ მიზნებს არ ემსახურება, ძვირფასნო.

## გიორგი გასვიანი: „ოკუპაციის გარდა, ყველაფერზე ღელავს ჩვენი საზოგადოება"



სოხუმის თეატრის მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გასვიანი საზოგადოებას ქართულ-აფხაზურ პრობლემაზე დაფიქრებას ურჩევს:

– ოკუპაციის გარდა, ყველაფერზე ღელავს ჩვენი საზოგადოება. ქუჩაში გამოდიან სხვისი „ნიფხვის" ქვეშ რა ხდება, იმის გასაკონტროლებლად! ერთი ქართულ-აფხაზური ვებ-გვერდი მაინც გაეკეთებინა ვინმეს, აფხაზურად სტატიები დაწერილიყო.. იქნებ ინტერნეტის მეშვეობით მოგვეხერხებინა და იქაური ახალგაზრდა მოსახლეობის ნაწილისთვის მაინც გაგვეგებინებინა, რომ მტრები არ ვართ, არც დამყრობლები და მკვლელები.. რომ აფხაზეთი საქართველოა ისტორიულად.. რაიმეთი მაინც, გაუწია ჩვენმა სახელმწიფომ ბრძოლა რუსულ პროპაგანდას აფხაზურ სკოლებში?

ჯანდაცვის პროგრამის გარდა, ჩვენთან რომ მკურნალობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, რაც კარგია, სხვა რაიმე ნაბიჯი რომ გადადგმულიყო, არ შეიძლებოდა? ირბინეთ ქუჩაში და ებრძოლეთ ლგბტ-ებს, დაიცავით ქვეყანა „ცოდვისგან" და იყურეთ სხვის საცვლებში! გააკეთეთ სხვისი საქმე, აშოვნინეთ ფულები სხვებს, ზოგს რუსული, ზოგს გრანტები, რომ თქვენ გადმოგიგდონ 50 ლარი მაინც... ეხებათ კონკრეტულ ადამიანებს!

## ნათია ფანჯიკიძე: „ჭაბუკიანი მთაწმინდაზე დავკრძალეთ, გვეამაყებოდა"



ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე ბოლო დღეებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და შეახსენებს საზოგადოებას, რომ როცა ჭაბუკიანი მთაწმინდაზე დავკრძალეთ, გვეამაყებოდა:

– იმის მაგივრად, ვინმემ თავიდან აგვაწყოს, შეგვაკოწიწოს, ჩაგვახუტოს, საზოგადოების დახლეჩას და ბრბოს ხროვის ინსტინქტს გამხნევება უნდა კიდევ ამ ქვეყანაში?

და თქვენ ფიქრობთ, ბრბო ვინმეს დაგინდობთ, ძალა თუ მოიკრიბა? თუ გგონიათ, მიზეზს ვერ მოგინახავთ, რომ ნაჭერ-ნაჭერ დაგგლიჯოთ?

რა არის ასეთი აჟიოტაჟი, გეგონება ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ეს იყოს, გეგონება ჰომოსექსუალთა ლაშქარი იკრიბებოდეს, ისეთ ამბავს ტეხენ წმინდა წყლის ფარისევლები.

იქნებ მოვუსმინოთ იმ ათიოდე აქტივისტს, რის თქმა უნდათ, ვიღაცის შვილები და ახლობლები ხომ არიან? რამე დააშავეს? კრიმინალი ჩაიდინეს? კრიმინალებსაც კი ჰყავთ ადვოკატები.

ჰომოსექსუალებს კი მსოფლიოსთვის და საქართველოსთვისაც რა ინტელექტუალური კონტრიბუციაც აქვთ მოტანილი, ამის მემილიონედად მაინც დავუზარალებივართ მათ ორიენტაციას? სად იგრძენით საფრთხე? ხართ ჩემს მეგობრებში ისეთი, ვისაც რამე გაკადრათ, ან შემოგთავაზათ ამ ხალხმა? გადაიტანეთ თქვენს თავზე, წარმოიდგინეთ ასეთ „უჩვეულო სიმახინჯედ" რომ გთვლიდნენ, როგორ იგრძნობდით თავს.

რა ადამიანობაა ასეთი სიძულვილი? რატომ ვიყავით უფრო პროგრესულები გუშინ? ჭაბუკიანი მთაწმინდაზე დავკრძალეთ, გვეამაყებოდა, ვინ იკადრებდა მაშინ, ჰომოსექსუალს ქვებით გაკიდებოდა. დღეს რა დაგვემართა? ოღონდ არ მითხრათ, მიტინგს ნუ აწყობენო. ადრე მიტინგი სულ არ ვიცოდით, ახლა კი ყველა აწყობს, ყველა თემაზე, ვისაც რა უნდა და მაინცდამაინც ეს ხალხი რატომ არ შეიძლება ქუჩაში ჩნდებოდეს?

აღარ მინდა ქართველების საშიშ ფიზიკურ დაპირისპირებას და ვინმეზე თავდასხმას ვუყურებდე, არც ერთ თემაზე.

## ყვარელში სისონაანთ კოშკს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ყვარელში მდებარე VXIII საუკუნის ე.წ. სისონაანთ კოშკს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სისონაანთ კოშკი კომპლექსია, რომელიც შედგება კოშკის, გალავნისა და მარნისგან.

კოშკი ნაგებია რიყის ქვის რეგულარული წყობით დუღაბზე. თაღების გამოსაყვანად გამოყენებულია აგური. კოშკი კვადრატულია და ოთხსართულიანია. სართულშორისი გადახურვა ხის ძელების იყო, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. სართულშუა კავშირი ხის მისადგმელი კიბით ხდებოდა. შესასვლელი პირველ სართულზეა სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან თარაზულად დასრულებული. მის აღმოსავლეთ მხარეს სათოფურია. აღმოსავლეთ კედლის შუაში თაღოვანი ბუხარია, მის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. მათ თავზე ასეთივე ფორმის სათოფური. თითო ნიშია დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებშიც. მეორე სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთის კედლის შუაში დამატებით ფართო სარკმელი, ხოლო აღმოსავლეთ



კედლის შუაში თარაზულად დასრულებული კარი, რომელიც ფართო ხის შეკიდულ აივანზე გადიოდა.

მესამე სართულის ყველა კედელში ასევე ორ-ორი ნიშაა. აღმოსავლეთ კედლის შუაში კი შიგნიდან სწორკუთხა და გარედან აგურის თაღით დასრულებული კარი, რომელიც ასევე ხის ფართო შეკიდულ აივანზე გადიოდა. მეოთხე სართულის შემორჩენილ კედლებში სათოფურებია დატანებული. ის საბრძოლო უნდა ყოფილიყო.

კოშკს სამხრეთიდან ჰქონდა ეზო, რომელიც შემოზღუდულია რიყის ქვის ასევე რეგულარული წყობით ნაგები გალავნით. შემორჩენილია აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლების ფრაგმენტები.

კოშკს დასავლეთის მხრიდან მთელს სიგანეზე ეკვროდა მარანი, რომლის ჩრდილოეთ კედელთან მარნის მთელ სიგრძეზე ჩაშენებული იყო ქვის საწნახელი. საწნახლის ენა შუაში იყო დატანებული, საიდანაც მილით ყურძნის წვენი მიწაში ჩაყრილ ქვევრებში ჩადიოდა. მარნის აღმოსავლეთ კედელში, რომელიც იმავე დროს კოშკის დასავლეთ კედელს წარმოადგენდა, ნიშაა გაკეთებული.

კოშკი საბრძოლო-საცხოვრებელი ნაგებობაა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში იმ ეპოქამდე უნდა იყოს აგებული, სანამ კახეთში ფართოდ მოიკიდებდა ფეხს მრგვალი კოშკების შენება. კომპლექსს აქვს ძეგლის შემდეგი მახასიათებლები: სიძველე, არქიტექტურული ფორმები და დეტალები: სათოფურები, ბუხარი, შეკიდული აივნები, თაღოვანი კარები, თაღჩები, ქვის საწნახელი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.7468 |
| ევრო | — 3.0943 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4753 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2700 |

## ამინდის პროგნოზი 18 ივნისისთვის






## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**11 ივნისიდან**

ვაჟა-ფშაველა

**მოთხრობები**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




**18 ივნისიდან**

ანე ფრანკი

**თავშესაფარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




**31 მაისიდან**

**დიდი ქართველი მეფეები**

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**






## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, ჯიბის ფული მომეცი რა.
– რამდენი?
– ათასი ლარი...
– რა ჯიბეები გაქვს ასეთი!!!

●●●

პატიმარი ახალ თანამესაკნეს ეკითხება:
– რისთვის ზიხარ?
– მოწონებისთვის.
– იტყუები. მოწონებისთვის ხუთ წელს იძლევიან, შენ კი რვა გაქვს მისჯილი. აღიარე, გააზიარე ხო?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– აბა, როგორ მიდის ცხოვრება?
– რა ვიცი აბა, ცოლი რომ მეკითხება: „დღეს რას ისურვებ ვახშმად?“ ვერასოდეს ვერ ვიცნობ.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:
– გატყობ, ინტერნეტში ჩაერთე!
– როგორ გაიგე?
– შენი თვალებით.
– რა, უფრო ჭკვიანური გამიხდა?
– არა, ჩაწითლებული...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, ჩემთვის გიღალატია?
– რას ამბობ ძვირფასო, რა ღალატი, უბრალოდ, თავს ცოტა გართობის უფლება მივეცი...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პსჟ ნეიმარის გაყიდვაზე ფიქრობს



პსჟ-ში ნეიმარის მუდმივი ტრავმებით და მისი საქციელით უკმაყოფილოები არიან და მის გაყიდვაზეც ფიქრობენ. პსჟ-ს პრეზიდენტმა საჯაროდ გააკრიტიკა პსჟ-ს რამდენიმე ფეხბურთელი და თქვა, რომ მათი ვარსკვლავური კაპრიზების ატანას არ აპირებს. სავარაუდოდ, ამ ფეხბურთელებში ნეიმარიც იგულისხმებოდა.

პრობლემა ისაა, რომ ნეიმარის სატრანსფერო ფასი 300 მილიონია და ამ თანხის გადახდას ჯერჯერობით არც ერთი გუნდი არ აპირებს. საუბარია ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნებაზეც, მაგრამ კატალონიური გუნდი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

## პოგბა მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლას აპირებს



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა უკვე აღარ მალავს, რომ მას წასვლა სურს და ახალ გამოწვევებს ელოდება.

პოგბას აზრით, მან მანჩესტერში კარგი სეზონი ჩაატარა, მაგრამ ახლა ცვლილებების დროა:

– ვფიქრობ, რომ ჩემს კარიერაში ახალი გამოწვევების დროს დადგა და მინდა, რომ ეს გამოწვევები წარმატებით დავძლიო. არ ვიცი, მომავალ სეზონში სად ვიქნები, შეიძლება მანჩესტერში დავრჩე, შეიძლება სხვა გუნდში აღმოვჩნდე. წინასწარ საუბარი არ მიყვარს. პოგბას შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს.

## გრიზმანის ბარსელონაში ტრანსფერი ჩიხში შევიდა



ანტუან გრიზმანის ბარსელონაში ტრანსფერი კვლავ ჩიხში შევიდა და გაურკვეველია, გადავა თუ არა საერთოდ გრიზმანი ბარსელონაში.

ამ ყველაფერს ბარსელონას პრეზიდენტის ჟოზეფ ბართომეუს განცხადებაც დაემატა, რომელმაც თქვა, რომ გრიზმანთან ბარსელონა მოლაპარაკებებს არ აწარმოებს და, სავარაუდოდ, არც მის ყიდვას აპირებს.

არადა გრიზმანის ბარსელონაში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო. სავარაუდოდ, გარკვეული მიზეზების გამო ბარსელონას ხელმძღვანელობამ მისი ყიდვა გადაიფიქრა. ჯერჯერობით თვითონ გრიზმანი კომენტარს არ აკეთებს.

## მარადონამ არგენტინის ნაკრებს დასცინა



არგენტინის ნაკრებმა კოპა ამერიკაზე ცუდი სტარტი აიღო და კოლუმბიასთან 0:2 დამარცხდა. ამ მარცხს დიეგო არმანდო მარადონა გამოეხმაურა, რომელმაც თქვა, რომ არგენტინას შესაძლოა ტონგას ნაკრებმაც მოუგოს.

მარადონას აზრით, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს პასუხისმგებლობა აკლიათ:

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შესაძლოა ტონგამაც მოგვიგოს. გულშემატკივარს მობეზრდა ამდენი წაგება და დროა, რომ არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებმა ეს გაიაზრონ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კურდღელზე, მელაზე სანადიროდ გამოყენებული ინგლისური მწევარი; 2. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 3. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ბერძნული ყველი; 5. ვულკანი სიცილიაში; 6. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; 9. რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების დამტკიცება; 10. ფრანგული არაყი; 11. თურქული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ბრაზილიური ცეკვა; 16. გერმანული საავტომობილო ფირმა; 18. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 20. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 23. ქართული საბავშვო ჟურნალი; 24. საკონდიტრო ნაწარმი; 25. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 26. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად:** 7. ამერიკელი პილოტი, რომელმაც პირველმა განახორციელა ამერიკიდან ევროპაში დაუშვებლად გადაფრენა; 8. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 12. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 13. სათამაშო ქაღალდი; 15. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 17. მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 21. ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულება; 22. სოფლის მოხელე, მამასახლისის თანაშემწე ძველად საქართველოში; 27. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 28. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*






**ფუ ფანგ დან შენ პიან**
**Fu fang dan Shen pian**



გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

**მაი ვეი დი ჰუანგ ვან**
**Mai vei di huang van**



ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

**ნონ გონ იუენ ძ ვან**
**Nuan gong yun zi wan**



ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

**სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან**
**Xiao qe wan + liu vei di huang wan**



არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates
sugar levels
in blood

**ჩუან სიან ჩა თიაო ვან**
**Huan xiong cha tiao wan**



თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill,
weakness

**ბოაი** ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/